ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 24 მაისი, 2021 №90 (8619) ფასი: 60 თეთრი

„მეუფე საბა გიგიბერიას 12 წლის დისშვილი დაბეს და ფულის ტომრების ადგილსამყოფელს ეკითხებოდნენ“



გვ.5

„თბილისის პარალიზებას მოვახდენთ“

ვარლამ გოლეთიანმა ხელისუფლებას ულტიმატუმი წაუყენა

გვ.2

გვ.4

სოსო შატბერაშვილი: „საქართველოში დიდი რაოდენობით უნდა აშენდეს მცირე და საშუალო ჰესები“

გვ.3

გახარია ვასაძეს ეჯიბრება!

სოსო ცინცაძე: „არა მგონია, გახარია იმდენად ცუდად ერკვეოდეს პოლიტიკაში, რომ რეგიონში წამოაყენოს საკუთარი კანდიდატურა“

ნიკოლოზ მჟავანაძე: „სადაც არის ასათვისებელი მიწები, იქნებ ქართველები ჩაასახლონ“

გვ.3

„კალაძე გულზე არ მეხატება, მაგრამ ბევრი მხარდამჭერი ჰყავს“

მამუკა გამყრელიძე: „ოპოზიციამ სახეც დაკარგა და ამომრჩეველიც

გვ.2

თეიგიზ დიხამინჯია: „დამოუკიდებლობის დღე აღინიშნოს 9 აპრილს და არა 26 მაისს“

გვ.4

ISSN 1987-9385

5 ბაიდენმა ამერიკის სანაპირო დაცვის აკადემიის 2 ქართველ კურსდამთავრებულს დიპლომი პირადად გადასცა

2 ათენი-ვილნიუსის ბორტი მინსკში დასვეს ჟურნალისტის დასაკავებლად

5 შსს-მ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1.321 ფაქტი გამოავლინა

6 ჯო ბაიდენი კიმ ჩენ ინთან შეხვედრის პირობებს ასახელებს

იტალიაში საბაგირო ჩამოვარდა

„კალაძე გულზე არ მეხატება, მაგრამ ბევრი მხარდამჭერი ჰყავს“

მამუკა გამყრელიძე: „ოპოზიციამ სახეც დაკარგა და ამომრჩეველიც“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

– ბატონო მამუკა, ვრცელდება ინფორმაციები, რომ ყოფილი პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია პირველი განცხადების გაკეთებას 26 მაისს გეგმავს. „ქართულ ოცნებას“ ძალიან აღელვებს გახარიას საკითხიო. რა ხდება ამ ფრონტზე? სიმბოლოები უყვარს გახარიას? რატომ მაინცდამაინც 26 მაისი?

– როგორც ჩანს, გახარიას უყვარს სიმბოლოები. ჩვენ ვნახეთ ზვიად გამსახურდიას საფლავზე დადებული ყვავილები და ასე შემდეგ. სიმბოლიზმი რაღაც დონეზე კარგია. იგივე მიხეილ სააკაშვილს უყვარდა სიმბოლოები ძალიან.

– 23 ნოემბერი, 6 მაისი...

– დიახ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. სიმბოლიზმს გარკვეული დატვირთვა აქვს პოლიტიკაში, თუმცა სინამდვილეში პოლიტიკაში მთავარი არის ის სწორად გადადგმული ნაბიჯები, რომელიც ხალხს უნდა მოეწონოს. მე მგონია, რომ ცოტა დააგვიანა გახარიამ. დაიღალა ხალხი და სხვა თემაზე გადაერთო, გასართობი ყოველთვის ბევრია. ხან რა გამოჩნდება და ხან რა. ახლა ვასაძე გამოჩნდა.

– ლევან ვასაძეს პირდაპირ უწოდებენ პრორუს პოლიტიკოსს. ვის ხმებს წაიღებს ან ვისზე იმუშავებს?

– უფრო პატრიოტების ჩანაცვლების მექანიზმია, ჩემი აზრით. მეტის აღების შანსი ვასაძეს არ ექნება.

– ანუ გახარიას ელექტორატზე ვერ იმუშავებს, მის საპირწონედ რომ შეექმნა ხელისუფლებას?

– არა, არანაირად. საერთოდ განსხვავებული ძალებია. გახარიაზეც ბევრს ლაპარაკობდნენ, რომ რუსეთის მიერ მართულია. ამას ამყარებდნენ ნარიშკინის მიერ გაკეთებული განცხადებით. ამ განცხადების ფონზე რომ გამოსულიყო და ეაქტიურა, მაშინ ხალხს ჩაუჯდებოდა თავში, რომ მას მხარს უჭერს ის რუსული მხარე. თანაც ამ რუსული მხარის პროდასავლური ნაწილი, მე ასე ვიტყოდი. კრემლშიც სხვადასხვა დაჯგუფებებია. თუ ვინმეა სხვასთან შედარებით პროდასავლური, სწორედ ეს ნაწილია, რომელსაც ნარიშკინი წარმოადგენს. ახლა ხომ ხედავთ, როგორი სიტუაციაა? ჩვენს საზოგადოებაში ცოტა იმედგაცრუებაცაა დასავლეთის მიმართ. ამდენი ხანია გაიძახიან, რომ ნატოში მიგიღებთ – არ მიგიღებთ. ახლა ევროკავშირზე წავიდა ლაპარაკი, რომ აი ჩვენ განაცხადს გავაკეთებთ, დაიღალა ხალხი. მოკლედ, იმედგაცრუება ევროპით არის.

– რამდენად შეუქმნის გახარია პრობლემებს „ქართულ ოცნებას“?

– გახარია პრობლემას შეუქმნის ყველას.

– ოპოზიციასაც და პოზიციასაც?

– რა თქმა უნდა! ის ოპოზიციის ხმებს წაიღებს პირველ რიგში. კი ამბობენ, „ოცნებას“ წაართმევს ხმებსო, კი, რაღაცას წაართმევს, მაგრამ უფრო

გაგრძელება მე-3 გვერდზე

„თბილისის პარალიზებას მოვახდენთ“

ვარლამ გოლეთიანმა ხელისუფლებას ულტიმატუმი წაუყენა

რიონის ხეობის მცველმა ვარლამ გოლეთიანმა მთავრობას ულტიმატუმი წაუყენა და მოთხოვნების შესასრულებლად ვადა 24 მაისს დღის 12:00 საათამდე მისცა.

– 12:00 საათამდე ეძლევა ხელისუფლებას დრო, ჩაირთო ეს წამმზომი, გადაწყვეტილება მათზეა, შესრულდება ყველა ის მოთხოვნა თუ არა, ჩვენი მოქმედება განსაზღვრულია და ამ საქმეს თითოეული ჩვენგანი ბოლომდე მივყვებით.

თუ 24 მაისს 12 საათამდე არ იქნება გადაწყვეტილება, მოვახდენთ დედაქალაქის პარალიზებას მთლიანად, ვერავინ ვერსად ვერ შეძლებს გადაადგილებას, ამისთვის მნიშვნელოვანია, რომ შევინარჩუნოთ სიმრავლე, – თქვა ვარლამ გოლეთიანმა აქციაზე სიტყვით გამოსვლისას.

ნამახვანჰესის მოწინააღმდეგეთა აქცია გუშინ, 23 მაისს, თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე გაიმართა. აქციის მონაწილეები დედაქალაქში რეგიონებიდან გუშინ დილით, ავტოკოლონებით ჩამოვიდნენ.

ნამახვანჰესის მშენებლობის მოწინააღმდეგეები ითხოვენ:

1. გაწყდეს 2019 წ. 25 აპრილს ხელმოწერილი ხელშეკრულება საქართველოს მთავრობასა და კომპანია „ენკა რინიუებლზს“ შორის მდინარე რიონზე დაგეგმილი ნამოხვანის ჰესების კასკადის მშენებლობის შესახებ და კომპანიამ დატოვოს რიონის ხეობა.

2. გაუქმდეს საქართველოს მთავრობის 2019 წლის 21 ნოემბრის №2405 განკარგულება „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „ენკა რინიუებლზისათვის“ აღნაგობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემისა და პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ.“

3. გაუქმდეს ნამოხვანის ჰესების კასკადზე 2015 წელს გაცემული სამშენებლო ნებართვა და ყველა სხვა მასზე დაფუძნებული დოკუმენტი.

4. თანამდებობიდან გადადგეს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა.

საღამოს აქციის მონაწილეებმა კარვები გაშალეს. მათ ტერიტორიაზე მთელი ღამის განმავლობაში დარჩენა გადაწყვიტეს.

„მე აქ სიკვდილით დასჯა მელის“

ათენი-ვილნიუსის ბორტი მინსკში დასვეს ჟურნალისტის დასაკავებლად

„რაინეარის“ თვითმფრინავის ბორტზე მყოფი მგზავრები, რომლებიც ათენიდან ვილნიუსში მიფრინავდნენ, მინსკში აღმოჩნდნენ მას შემდეგ, რაც თვითმფრინავმა მიმართულება შეიცვალა და მოულოდნელად ბელარუსის დედაქალაქში დაჯდა.

ბელარუსის ოპოზიციის მტკიცებით, ეს ალექსანდრ ლუკაშენკოს ბრძანებით მოხდა, რათა ბორტზე მყოფი ჟურნალისტი – რომან პროტასევიჩი დაეკავებინათ.

მგზავრები ამბობენ, რომ ბორტზე პანიკა და ჩხუბი არ ყოფილა.

– მას შემდეგ, რაც თვითმფრინავმა მოულოდნელად გეზი შეიცვალა და ამის შესახებ შევიტყვეთ, ბორტზე მყოფი ერთი ბიჭი ძალიან განერვიულდა. ყველა გამოგვიყვანეს თვითმფრინავიდან, ძაღლებს შეამოწმებინეს ჩვენი ნივთები. ის ბიჭი სხვა მხარეს გაიყვანეს, მისი ნივთები კი ასაფრენ ბილიკზე დაყარეს. ვკითხეთ, რა ხდებოდა, თქვა, ვინც იყო და დაამატა – „მე აქ სიკვდილით დასჯა მელის“. ის უკვე მშვიდად იყო. მასთან ერთად მთელი ამ ხნის განმავლობაში იდგა პოლიციელი, მალე კი სამხედრო პირებმა გაიყვანეს, – განაცხადა მგზავრმა, რომელიც ჟურნალისტ რომან პროტასევიჩთან ერთად იმყოფებოდა.

მგზავრები 3 საათის განმავლობაში ვიწრო დერეფანში ჰყავდათ დაკავებული და სასმელი წყალიც არ მიუციათ.

ირაკლი კობახიძე: „ნაცმოძრაობას უახლოეს დღეებში პარლამენტში შემოსვლა მოუწევს“

– ნაცმოძრაობას უახლოეს დღეებში პარლამენტში შემოსვლა მოუწევს, ეს ნიშნავს მათ სისუსტეს, არათანმიმდევრულობას და მარცხს.

ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ, ჟურნალისტებთან განაცხადა.

მისივე თქმით, ხელოვნური კრიზისი უკვე დაძლეულია და ახლა ოპოზიციაზეა დამოკიდებული, პარლამენტს შიგნით მუშაობა როგორ წარიმართება.

– ნაცმოძრაობას უახლოეს დღეებში პარლამენტში შემოსვლა მოუწევს. ეს ნიშნავს მათ სისუსტეს, მათ არათანმიმდევრულობას და მარცხს. ძალიან მნიშვნელოვანია ხალხთან კომუნიკაცია, რომ თითოეულ დეტალთან დაკავშირებით საზოგადოების წევრებს ინფორმაცია ჰქონდეს.

ყველაფერი დამოკიდებულია შესაბამის ოპოზიციურ პარტიებზე, პარლამენტში შემოვლენ თუ არ შემოვლენ, მათი გადასაწყვეტია. ხელოვნური კრიზისი უკვე დაძლეულია, ეს განაცხადა შარლ მიშელმა. ასევე მათზეა დამოკიდებული პარლამენტს შიგნით მუშაობა, – განაცხადა კობახიძემ.

ლევან კალაძის მკვლელობაში ბრალდებულები ხელახალ გამოძიებას ითხოვენ

კახი კალაძის ძმის, ლევან კალაძის გატაცებასა და მკვლელობაში ბრალდებულები საპატიმროს ტოვებენ. მათი ნაწილი ხელახალ გამოძიებას ითხოვს.

ნათია ჯანელიძე, რომლის მეუღლეც სადახლოს პოლიციის უფროსი იყო და გამტაცებლების დაკავების ოპერაციაში მონაწილეობდა, ამბობს, რომ სპეცოპერაცია წინასწარ იყო დადგმული. ნათია ჯანელიძემ ციხე ცოტა ხნის წინ დატოვა.

„ტვ პირველის“ შაბათის ეთერმა ნათია ჯანელიძის ჩვენება მოიპოვა, რომლითაც იცვლება ოფიციალური ვერსია, რომ კალაძის ძმის გატაცებაში ბრალდებული პოლიციამ საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის დროს საიდუმლო ოპერაციის შედეგად დააკავა. ჯანელიძე ჩვენებაში აღნიშნავს, რომ მის მეუღლეს საქმის ფიგურანტი მერაბ ამისულაშვილი მუხიანში უკანონოდ ჰყავდა დაკავებული.

თემურ გაგნიძის მამა ამტკიცებს, რომ ადამიანი, რომელმაც 12 წელი ციხეში კალაძის ძმის მკვლელობის ბრალდებით გაატარა, რეალურად უდანაშაულო იყო.

ლევან კალაძე დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა 2001 წელს გაიტაცეს. საქმე 5 წლის შემდეგ გაიხსნა. პასუხისგებაში 4 პირი მისცეს.

საქართველოში ინდური შტამის შესაძლო შემთხვევებს იკვლევენ



ინდური შტამის პირველი სავარაუდო შემთხვევა საქართველოში – „კურიერისთვის“ ცნობილი ხდება, რომ ლუგარის ლაბორატორია ახლა საგანგებო რეჟიმში მუშაობს და სპეციალისტების საბოლოო დასკვნას ელოდება.

ირკვევა, რომ რამდენიმე პაციენტის ანალიზის კვლევის დროს ლუგარმა აღმოაჩინა ისეთი საეჭვო ნიმუში, რომელიც საქართველოში აქამდე არ უნახავთ.

შტამი დღემდე გავრცელებული ყველა ფორმისგან განსხვავდება. სპეციალისტები ჯერჯერობით ვერ ამბობენ, რასთან აქვთ საქმე, არსებობს ვარაუდი, რომ ეს შესაძლოა კორონავირუსის ის ქვეტიპია, რომელიც ინდოეთშია გავრცელებული. შტამი 8-ჯერ უფრო სწრაფად ვრცელდება და ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის საშიშია.

ვირუსის სახიფათო ფორმამ, რომელიც ორმაგი მუტაციით გამოირჩევა, შესაძლოა, საქართველოც საფრთხის წინაშე დააყენოს. ლუგარის ლაბორატორია ე.წ. ინდური შტამის რამდენიმე საეჭვო ფაქტს უკვე სწავლობს. ქვეყნის მთავარი ინფექციონისტი კვლევების დასრულებამდე მეტს არაფერს ამბობს.

ვირუსის თავისებურებიდან და გავრცელების მასშტაბებიდან გამომდინარე, საფრთხეებს კარგად გრძნობენ ინფექციონისტები. სპეციალისტები ამბობენ, რომ საქართველოში ვირუსის ამგვარი ფორმის გავრცელება ინფიცირებულთა რიცხვს გააორმაგებს და ლეტალობასაც გაზრდის.

ე.წ. ინდური შტამი უკვე 60 ქვეყანაშია გავრცელებული. სპეციალისტების პროგნოზით, შესაძლოა, ბრიტანული შტამი მოკლე პერიოდში ე.წ. ინდურმა შტამმა მთლიანად ჩაანაცვლოს. თუმცა, პოზიტიურია ბრიტანეთში ჩატარებული კვლევები – შედეგებმა აჩვენა, რომ კორონავირუსის ვაქცინები ეფექტურია ინდური შტამის წინააღმდეგ.

დმანისში 5 წლის ბავშვთან სექსუალური ხასიათის ქმედებისთვის ს.ა.-ს 15 წელი მიესაჯა

14 წლის ასაკს მიუღწეველთან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების ჩადენაში ბრალდებულს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

გამოძიების შედეგად დადასტურდა, რომ ს.ა.-მ ისარგებლა 5 წლის ლ.ა.-ს ასაკობრივი უმწეობით, რომელიც ვერ აცნობიერებდა მის მიმართ განხორციელებული ქმედებების მნიშვნელობას და მის მიმართ სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება ჩაიდინა.

ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და 14 წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიმართ სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების ჩადენის ფაქტზე ს.ა. დამნაშავედ ცნო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად, ბრალდების მხარის მიერ სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ დმანისის რაიონის სოფელ მამულოში ს.ა.-მ ისარგებლა 5 წლის ლ.ა.-ს ასაკობრივი უმწეობით, რომელიც ვერ აცნობიერებდა მის მიმართ განხორციელებული ქმედებების მნიშვნელობას და მის მიმართ სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება ჩაიდინა.

სამართალდამცველებმა ს.ა. 2021 წლის 9 იანვარს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება, რომელიც არ შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, ჩადენილი დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით, დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით თოთხმეტი წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიმართ) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

არასრულწლოვანი დაზარალებულის მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობის შედეგად შესაძლო ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით, საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით დაიგეგმა.

ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ ს.ა. სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახით 15 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გახარია ვასაძეს ეჯიბრება!

სოსო ცინცაძე: „არა მგონია, გახარია იმდენად ცუდად ერკვეოდეს პოლიტიკაში, რომ რეგიონში წამოაყენოს საკუთარი კანდიდატურა“



ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, ირაკლი კობახიძემ და ირაკლი ღარიბაშვილმა, შეიძლება ითქვას, პირველად გააკეთეს კომენტარი გიორგი გახარიასთან დაკავშირებით. კობახიძემ პირდაპირ მატყუარა უწოდა. ღარიბაშვილს კი აინტერესებს რას აპირებს. რას იტყვით ხელისუფლების ამ რიტორიკაზე?

– პოლიტიკის ისტორიაში ოპოზიციური პარტიის ინტერესი არ შეცვლილა. მათ ერთი ინტერესი აქვთ – ხელისუფლებაში მოსვლა, რაც იცის ნებისმიერმა დიასახლისმა და ნებისმიერმა მევენახემ. ამიტომ, მიკვირს ღარიბაშვილის. გარდა ხელისუფლებაში მოსვლისა, გახარიას სხვა რა ინტერესი უნდა ჰქონდეს?!

როგორც ჩანს, გახარიამ ბევრს აუშალა ნერვები. ბევრისთვის იქცა თავის ტკივილად, მათ შორის, კობახიძისთვისაც. კობახიძე რომ არ გრძნობდეს, გახარიას უკან სერიოზული ძალა დგას, ასეთი გამწარებული არ იქნებოდა. ასეთი ეპითეტით არ შეამკობდა. მთლად მატყუარას არ უწოდებდა. კობახიძემ მშვენივრად იცის, ვინ დგას გახარიას უკან.

– ვინ დგას?

– დიდი ეჭვი მაქვს, რომ როგორც მინიმუმ, ივანიშვილის კეთილგანწყობით სარგებლობს. სწორედ ეს აცხარებთ „ქართული ოცნების“ სპიკერებს. ყველაზე მეტად კი ირაკლი კობახიძეს, რომელსაც თავისი მწარე რიტორიკით არასდროს არ ჩამორჩება ირაკლი ღარიბაშვილი. თუ მკითხავთ, მაშ ახლა რა მოხდა, გიპასუხებთ, რომ ეს დამაფიქრებელი პოზიციაა ღარიბაშვილის მხრიდან. მისი ასეთი მოზომილი პოზიცია არავის ახსოვს. მით უფრო, ყველაზე დიდი საფრთხე სწორედ მას ემუქრება, უფრო კონკრეტულად კი, მის თანამდებობას, თუ გახარია გაიმარჯვებს.

– რითი ხსნით ამ ზომიერებას?

– ღარიბაშვილის ეს სიფრთხილე და ზომიერება, ალბათ, უფრო ნაკარნახევია საკუთარი პოლიტიკური მომავლის გაფრთხილებით. ღარიბაშვილი კარგად ხვდება, რომ გახარიას მომხრეებში არის პიროვნება, რომელიც გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე რიგითი მომხრეები. განა ამას ვერ ხვდება კობახიძე, რა თქმა უნდა, ხვდება, მაგრამ მას, როგორც ჩანს, ყველა იმედი გადაწურული აქვს ამ მიმართულებით.

– როგორ ფიქრობთ, გახარია რატომ არ ჩანს, რას ელოდება?

– პოლიტიკოსისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საჭირო მომენტის შერჩევა არის. მსოფლიო პოლიტიკა იცნობს ასეთ ლიდერებს, რომლებიც სწორედ საჭირო დროის შერჩევის დიდოსტატები არიან. მახსენდება საფრანგეთის სოციალისტი პრეზიდენტი, რომელმაც ასეთ საჭირო დროს დააყენა კანდიდატი საპრეზიდენტო არჩევნებში და არჩევნები მოიგო. ზუსტად უნდა შეარჩიო საჭირო დრო, რომ პოლიტიკური განაცხადი გაკეთო, ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

– თქვენ ამბობთ, რომ გახარია ასეთ დროს ელოდება?

– არ არის გამორიცხული, ასე იყოს. ის დაელოდება ყველას და ბოლოს გააკეთებს განაცხადს. მოულოდნელობის ეფექტი ხშირად გადამწყვეტია არა მხოლოდ ბრძოლის ველზე, არამედ პოლიტიკაშიც.

როდესაც საზოგადოების მოლოდინი ძალიან მაღალია, არ შეიძლება ძალიან ადრე გააკეთო განაცხადი, რათა მერე მოლოდინი გაფერმკრთალდეს, მაგრამ არც უნდა დააგვიანო.

გახარიას მიმართ მოლოდინი რეალურად დიდია. ეს მოლოდინი აქვს „ქართული ოცნების“ ამომრჩეველსაც. ამიტომ, უფრო მომგებიანი შეიძლება იყოს, ბოლო წუთში დააყენოს კანდიდატურა და „ოცნების“ მომხრეებმა, ვისაც უკვე ყელში ამოუვიდა კობახიძე და მისი გუნდი, გახარიაზე გააკეთოს არჩევანი. „ბოლო წუთში“ ვგულისხმობ, სანამ გახარიას ჟურნალისტები გაუხსენებენ თვალების დათხრას, დაუსვამენ კითხვას – თუ თვითონ არა, ვინ გასცა 20 ივნისის დარბევის ბრძანება? და ა.შ. სანამ ამ კითხვებსა და ამ წარსულში ჩაიკარგება.

– თბილისში შეიძლება დააყენოს კანდიდატურა თუ ზუგდიდში?

– არა მგონია, გახარია იმდენად ცუდად ერკვეოდეს პოლიტიკაში, რომ რეგიონში წამოაყენოს კანდიდატურა. მე მაინც მგონია, თბილისში დააყენებს. არჩევნებს საბოლოო ჯამში მაინც თბილისი იგებს და აგებს. რეგიონებს დიდი მნიშვნელობა აქვს. ყოფილა პრეცედენტები, როდესაც პრეზიდენტობის კანდიდატს თბილისი წაუგია და რეგიონების ხმებით გამხდარა პრეზიდენტი, მაგრამ ვფიქრობ, მაინც თბილისზე გააკეთებს განაცხადს. არც იმას გამოვრიცხავ, რომ არ უნდა დაასწროს ლევან ვასაძეს.

– თუ კახა კალაძეს?

– არა, ალბათ უფრო ლევან ვასაძეს. თუ ვასაძის უკან მართლაც რუსეთი დგას, წინასაარჩევნო კამპანია, პირდაპირ ვიტყვი, ძალიან კარგად იქნება დაფინანსებული. ამიტომ არ გამიკვირდება, თუ გახარია ამ ყველაფერს აკვირდება. შეიძლება ის ელოდება, გამოიკვეთოს, ზუსტად ვინ არის ვასაძის ამომრჩეველი. კი ამბობენ, თითქოს, ვასაძე მხოლოდ „პატრიოტთა ალიანსისა“ და ეკლესიის მრევლის ხმებზე იმუშავებს, მაგრამ მე არ გამოვრიცხავ, რომ „ქართული ოცნების“ ამომრჩევლის მნიშვნელოვანი სეგმენტი მიიმხროს ვასაძემ. დღეს, „ქართულ ოცნებას“ თავისი ბირთვული ელექტორატიც უკვე აღარ გააჩნია, რაც ისევ და ისევ მყარად აქვს შენარჩუნებული „ნაციონალურ მოძრაობას“. ამიტომ, ამ არჩევნებზე ყველაზე მეტი სამუშაოს ჩატარება ოპოზიციასთან ერთად „ოცნებას“ მოუწევს.

„სადაც არის ასათვისებელი მიწები, იქნებ ქართველები ჩაასახლონ“

ნიკოლოზ მჟავანაძე: „ჰერეთში ქართველები მეორეხარისხოვანი ადამიანები არიან, მათ თანამდებობაზე კი არა, სკოლის დირექტორადაც არ ნიშნავენ და ეკლესიაში არ უშვებენ!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ნიკოლოზ მჟავანაძე პასუხობს.

– ბატონო ნიკოლოზ, რა ხდება დმანისში, რა გვაჩვენა დმანისის მოვლენებმა? საუბარია, რომ საკმაოდ დიდი ხანია ეს პრობლემები გროვდებოდა. მოვისმინეთ შეფასებები, რომ გარედან იყო მართული ეს პროცესები. რას იტყვით თქვენ?

– პირველ რიგში ვიტყვი იმას, რომ ძალიან სამარცხვინოდ გააშუქა ეს ყველაფერი ტელემედიამ. სწორედ მათ მოახდინეს პროვოცირება, იმიტომ, რომ ათწლეულია ქვემო ქართლში მცხოვრებ ქართველებზე თქვეს, რომ ჩასახლებულები არიანო. ეს იმას ნიშნავს, თბილისელებზე რომ თქვან, ჩამოსახლებული გურულები, მეგრელები ან იმერლებიო. ყველას წინაპარი ხომ ჩამოვიდა რომელიღაც კუთხიდან?! თურმე ქვემო ქართლში მცხოვრები სვანები ყოფილან ჩამოსახლებული და აზერბაიჯანელები ყოფილან მკვიდრი მოსახლეობა. სწორედ ამან გამოიწვია უთანხმოება. იქ მეგობრები მყავს, სხვათა შორის, სვანები და მათ მითხრეს, რომ სწორედ ეს იყო მაპროვოცირებელი.

– ეს შემდეგ, მაგრამ ჯერ ხომ ფიზიკური დაპირისპირება მოხდა და ეს პრობლემები ხომ დიდი ხანია, რაც გროვდებოდა?

– ის რაც მოხდა დმანისში, გეთანხმებით, ეს გარედან ჩარევის გარეშე არ მოხდებოდა. თქვენ დააკვირდით, რამდენიმე დღით ადრე, ჩამოხსნეს ჯვარი მარნეულიდან. უკვე მეორეჯერ მოხდა ეს ამბავი, მერე დმანისში უცბად ასეთი რამ ხდება, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი გარედან ხდება.

– ანუ თქვენც იზიარებთ, რომ მართული იყო?

– რა თქმა უნდა, გარედან იყო ჩარევები.

– ვის მიერ იყო პროცესი მართული? ვის სჭირდება ეს ყველაფერი?

– მე მაქვს ჩემი პოზიცია, რომ ეს არის სპეცსამსახურის მიერ განხორციელებული. გამოდის აზერბაიჯანელი მოსახლეობის ლიდერი და ლაპარაკობს, რომ თურმე ჯვრები არ უნდა იყოს აღმართული ქვემო ქართლში, იმიტომ, რომ იქ აზერბაიჯანელები ცხოვრობენ. ხედავთ, ჯვარი ქართულ დროშაზეა გამოსახული და რა, ქართული დროშაც არ აღვმართოთ?! უკვე რამდენი ხანია აღვივებენ ეთნიკურ შუღლს სპეცსამსახურების მიერ მართული ადამიანები. რამდენჯერ მოვუწოდე ჩვენს ხელისუფლებას, რომ მიექცია ყურადღება ამ პრობლემისათვის. უნერგავენ აზერბაიჯანელ ხალხს ეს პროვოკატორები, მეორეხარისხოვანი ადამიანები ხართო. როგორ არიან მეორეხარისხოვანი? ჯერ ერთი, ეთნიკურად უმრავლესობაში არიან ადგილობრივ ხელისუფლებაში, ასევე პარლამენტის დონეზეც აზერბაიჯანელები არიან წარმოდგენილები. ბიზნესს აწარმოებენ, თავისი ტელევიზია აქვთ, უამრავი საგენტო და ეს არის მეორეხარისხოვანი ადამიანობა?! მეორეხარისხოვანი ადამიანები არიან ჰერეთში მყოფი ქართველები, რომლებსაც თანამდებობაზე კი არა, სკოლის დირექტორადაც არ ნიშნავენ და ეკლესიაში არ უშვებენ!

– პრობლემის მოგვარების გზებს რაში ხედავთ?

– ამ პრობლემის მოგვარების გზა არის ის, რომ ჩვენ უნდა ვიცხოვროთ ერთად და მეგობრულად. არ შეიძლება, რომ ვიღაცამ დათესოს შუღლი ჩვენ შორის. ჩვენი მეგობრობა და ძმობა რომ გაღრმავდეს, მე მოვუწოდებ ხელისუფლებას, რომ უნდა იყოს ბალანსი დაცული ისე, რომ იქ ვერ მოახდინოს ვიღაცამ დისკრიმინაცია და გარკვეული შუღლის გაღვივება. ამიტომ აუცილებელია იქ მოხდეს ქართველების ჩასახლება, ქვემო ქართლის რეგიონში, სვანების მსგავსად. ამის შემდგომ იქ ვერ მოხდება ესკალაცია. მერე ვერ გაუჩნდებათ აზრი, რომ აქ ჩვენ ბევრნი ვართ და ჩვენ ჭკუაზე უნდა იაროს ყველამ.

– მეტ ქართველს თუ ჩაასახლებენ, ეს უშველის ამ პრობლემას?

– ეს არის ძირითადი. თუ ქართველი კაცი არ იქნება საქართველოში, მაშინ ეს ქვეყანა საქართველო იქნება?! ჩვენ ხომ იმას არ ვლაპარაკობთ, რომ აზერბაიჯანელები გავყაროთ და ქართველები ჩავასახლოთ. არის იქ თავისუფალი, ასათვისებელი მიწები და იქ მოხდეს ქართველების ჩასახლება. ეს მარტო ქვემო ქართლს არ ეხება. ეს ეხება სამცხე-ჯავახეთსაც. იქ კიდევ უფრო უარესი სიტუაციაა. სამცხე-ჯავახეთში გაცილებით მიზერულია ქართველების რაოდენობა. თუ ეს არ გაკეთდება, იგივე მოხდება სამცხე-ჯავახეთშიც. არავის უნდა მივცეთ პროვოკაციის საშუალება. ამ უწიგნურებმა, რომ გამოდიან და პროვოკაციულ განცხადებებს აკეთებენ ეს ვითომ ლიბერალი პოლიტიკოსები, საერთოდ არ იციან საქართველოს ისტორია. არ იციან, როგორ დავკარგეთ ჰერეთი. სწორედ ასე დავკარგეთ, ძალიან შემცირდა იქ ქართველების რაოდენობა, ბალანსი ძალიან შეიცვალა და დავკარგეთ ტერიტორიები. რა დავითგარეჯის დაბრუნებაზეა საუბარი, ახალი ტერიტორიების დაკარგვის საფრთხე გვიდგას.

– ხელისუფლების პოზიცია როგორია ამ ყველაფერთან დაკავშირებით?

– არაფერს არ აკეთებს ხელისუფლება ამ პრობლემების გადასაჭრელად. იმოქმედონ დროულად. ეს არ ეხება მარტო ქვემო ქართლს, ეს ეხება სამცხე-ჯავახეთსაც. საერთოდ რა უნდა ამ ხელისუფლებას, რა მიზანი აქვთ?! სირცხვილია, როგორც ესენი იქცევიან!

„კალაძე გულზე არ მეხატება, მაგრამ ბევრი მხარდამჭერი ჰყავს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ოპოზიციის ხმებს წაიღებს. ჩემი აზრით, ის უფრო შუა ნაწილის ხმებს წაიღებს. იმ ნაწილისას, ვინც იმედგაცრუებულია „ქართული ოცნებისაგან“ და აღარ აპირებს მმართველ გუნდს მისცეს ხმა. თუმცა ეს ხალხი ნაციონალურ მოძრაობას რომ არ მისცემს ხმას, ესეც ცხადია. გარკვეულწილად, ხალხმა იმედგაცრუება მიიღო ამ ოპოზიციისგანაც, რომელიც დღეს ზოგი შესულია და ზოგი არ არის შესული. ამიტომ ახლა გახარიაში ისინი ხედავენ ძლიერ პიროვნებას, პერსონალურად, თორემ პარტიას, ვნახოთ, როგორ წარმოაჩენს თავს. ეს ხალხი არ გამოირჩევა ხისტი განცხადებებით, ძალიან მოზომილი განცხადებებით გამოირჩევიან და გარკვეულ ნაწილს ეს მოსწონს. მე დარწმუნებული ვარ, რომ გახარია უფრო ოპოზიციას წაართმევს ხმას. ჩემისთვის სრულიად გაუგებარია, რისი ეშინია „ქართულ ოცნებას“. ძალიან მშვიდად შეუძლია 43%-ის აღება.

– ვადამდელზე ხომ არ წავა „ოცნება“, თუკი დაინახა, რომ საკმარის ხმებს ვერ იღებს?

– მე პირიქით ვფიქრობ, თუ დაინახა, რომ ძალიან ძლიერად არის და მისი კონკურენტები სუსტები არიან, სწორედ მაშინ დანიშნავს ვადამდელს. მე, „ქართული ოცნების“ ადგილას, თუ შევხედავდი, რომ 50%-ზე მეტი მაქვს, ჩავატარებდი არჩევნებს და ყველას დავანახებდი, რომ ეს ოპოზიცია არაფრის გამკეთებელი არ არის.

– ოპოზიციაზე საუბრობდით, მელია დაბრუნდა, მიშასთან გაიარა კონსულტაციები. რა მდგომარეობაშია დღეს ნაციონალური მოძრაობა, რამდენად დაზარალდა ამ პროცესებით? შევლენ პარლამენტში?

– მაგათ თავში რა იხარშება, ალაჰმა უწყის. მე ერთი რამე დავინახე ამ წლების განმავლობაში, რომ ერთს ამბობენ, მეორეს აკეთებენ და მესამეს ფიქრობენ. ყველა დაიღალა ამით. ჩამოვალ – არ ჩამოვალ, შევალთ – არ შევალთ, კარგით რა! ხალხი დაღალა ამ ყველაფერმა და ცხადია, რომ დაკარგავენ ამომრჩეველს. დღეს ნაციონალურ მოძრაობას ორად ჰყავს გაყოფილი მხარდამჭერი, ერთია მიშას მხარდამჭერი, რომელიც, რაც არ უნდა მოხდეს, ბოლომდე მისი მხარდამჭერები იქნებიან, ასეთი ჯგუფი არსებობს და ეს საკმაოდ დიდი ჯგუფია და საკმაოდ ანგარიშგასაწევი. არის ასევე მეორე ნაწილი, რომელსაც ცვლილებები უნდა, სიახლე უნდა.

– ანუ ეს არის მელიას ჯგუფი?

– კი, ამას დავარქვათ მელიას ჯგუფი. რომელიც უფრო პროგრესულია და რაღაც სიახლე უნდა. თუმცა, გადასარევად ხვდება მელია, რომ იმ დიდი ჯგუფის გარეშე, რომელიც ე.წ. მიშისტები არიან, ძალიან დაასუსტებს ნაციონალურ მოძრაობას. თუ გახლეჩისკენ წავა სიტუაცია, ეს საერთოდ დაღუპავს ნაციონალურ მოძრაობას და მთლიანად ოპოზიციისთვის ცუდი იქნება.

– ანუ უკრაინაში მიახლებით, მელიამ მიშას უპირატესობა აღიარა?

– რაღაც რევერანსი იყო მიშას მიმართ და მანაც შეიფერა. იქ კი გაკეთდა განცხადებები, რომ აი ჩვენ ერთიანები ვართ და გვიყვარს ერთმანეთი, მაგრამ მე არანაირად არ მჯერა ამის. ეს პაექრობა მათში, ორგანულად იქნება. ეს არის თაობების დაპირისპირება, სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ და ერთიანები ისინი ვერ იქნებიან ვერასდროს. განსაკუთრებით კი შეხედულებების გამო.

– შევლენ თუ არ შევლენ, უკვე წაგებულები არიანო. თქვენც ასე ფიქრობთ?

– კი, ასეა. კალაძისა არ იყოს, შევლენ – ცუდია, არ შევლენ – ცუდია. კი, ასეა. ჰოდა, თუ მაინცდამაინც უნდა ინანონ, ადგნენ და შევიდნენ.

– კალაძე ახსენეთ და თავად ხელისუფლებაში რა ხდება? კალაძესა და ღარიბაშვილს შორის არსებულ დაპირისპირებაზე საუბრობენ.

– თუ დააკვირდით, სულ მიდის ამ დაპირისპირებაზე საუბარი. ხან ივანიშვილთანაა დაპირისპირებული, ხან კობახიძესთან, ახლა ღარიბაშვილთანო. ყველასთან დაპირისპირებული ხომ არ იქნება, არა? ეს ჭორებს უფრო ჰგავს. ის, რომ მე კალაძე გულზე არ მეხატება, ეს ყველასთვის ცნობილია. ისეთ დღეში ჩააგდო ვაკე ამ თავისი რეფორმული გადაწყვეტილებებით, რომ დავიტანჯეთ. თუმცა, ვინც არ უნდა დააყენოს „ოცნებამ“, კალაძის მსგავსი მხარდაჭერა ვერ ექნება. ასევე პოპულარული სახეა, „პროგრესულიაო“, იქ, „ევროპებში“ განავალი კაციაო“, ხომ იცით ქართველების ამბავი. ანუ, რაც არ უნდა ვთქვათ, მას უპირატესობა აქვს უდავოდ. მე რომ გულზე არ მეხატება, პირდაპირ გეუბნებით. არც ხმას მივცემ.

– რა მოლოდინი გაქვთ?

– მიუხედავად იმისა, რომ ეს არჩევნები იქნება ძალიან მნიშვნელოვანი და ძალთა გადანაწილების დაწყებას გვიჩვენებს, ძირითადი დატვირთვა და ძირითადი ბრძოლა იქნება 2024 წელს. სრულიად შეცვლილი სახით წარდგება პოლიტიკური სპექტრი, ბევრი პოლიტიკის მიღმაც დარჩება. ძალთა თანაფარდობა მნიშვნელოვნად შეიცვლება. თქვენ ხომ კარგად იცით, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში, სანამ ეს ბოიკოტი მიდიოდა, სულ ვიძახდი, რომ შედით, რომ მერე სახე არ დაკარგოთ. სამწუხაროდ, სახეც დაკარგეს და ამომრჩეველიც.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

„საქართველოში დიდი რაოდენობით უნდა აშენდეს მცირე და საშუალო ჰესები“

სოსო შატბერაშვილი: „7 ნოემბრისა და 26 მაისის სისხლიან მოვლენებზე ამნისტიის გამოცხადების იდეის მიზანია პირადად სააკაშვილისთვის ნამუსის მოწმენდა“

მარიამ მჭედლიშვილი

ხელისუფლება და ოპოზიციის ნაწილი ამთავრებს მუშაობას საარჩევნო რეფორმაზე. ევროკავშირის მედიაციით გაფორმებული მემორანდუმი სასამართლო სისტემის რეფორმირებასაც გულისხმობს. მოეღება თუ არა ბოლო არჩევნების გაყალბებას საქართველოში? ვინ უნდა გამოიტანოს განაჩენი საარჩევნო საქმეებზე? რატომ არის მიუღებელი ინიციატივა 2007 წლის 7 ნოემბრისა და 2011 წლის 26 მაისის საქმეებზე ამნისტიის გამოცხადების თაობაზე? ამ და სხვა თემებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მემარცხენე ალიანსის თავმჯდომარეს, სოსო შატბერაშვილს.

– პოლიტიკოსების ჯგუფი ამთავრებს მუშაობას საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებზე. თქვენი აზრით, ეს რეფორმა გამორიცხავს არჩევნების გაყალბებას?

– საარჩევნო რეფორმა აუცილებელია, თუმცა, ეს, საუბედუროდ, ვერ დაგვაზღვევს არჩევნების გაყალბებისაგან. ასეთი რამ, მეტ-ნაკლებად, დემოკრატიულ სახელმწიფოებშიც ხდება. მაგალითად, აშშ-ში, საფრანგეთში, გერმანიაში. მგონი, ყველამ იცის, რა მოხდა აშშ-ის ბოლო საპრეზიდენტო არჩევნების დროს. გაყალბებაზე მარტო დონალდ ტრამპი არ საუბრობს. იმაზე, რომ ტრამპს არჩევნები გაუყალბეს, ლაპარაკობენ ამერიკელი ექსპერტები, პოლიტიკური და საზოგადოებრივი წრეები. ტრამპს, როგორც კონსერვატიული შეხედულებების მქონე ლიდერს, სერიოზული მოწინააღმდეგეები ჰყავს. მათთვის მიუღებელია, რომ ტრამპი მოწოდებებს და განცხადებებს ახმოვანებდა ეკლესიის მახლობლად, ბიბლიით ხელში.

– ჩვენი რეფორმა რაღაც პოზიტივს ხომ მოიტანს?

– არჩევნების გაყალბების საშუალება სრულად არ მოისპობა. არჩევნებზე უდიდესი მნიშვნელობა აქვს მასობრივ მხარდაჭერას. მაგალითად, 90-იან წლებში ჯერ კიდეც საბჭოთა საქართველოს სათავეში მოვიდნენ ეროვნული ძალები – „მრგვალი მაგიდის“ წევრები. ეს არჩევნები ჩაატარეს კომუნისტებმა, რომლებსაც მრავალპარტიულობის და ნამდვილი კონკურენტული არჩევნების გამოცდილება არ ჰქონიათ. კიდევ ერთი მაგალითი ვნახეთ 2012 წელს, როცა სააკაშვილის რეჟიმი მშვიდობიანად შეცვლა ივანიშვილის კოალიციამ.

– საარჩევნო კოდექსის ცვლილებებს ოპოზიციის ნაწილი ამუშავებს. ოპოზიციურ ერთობაში დაახლოებით 30 პარტია იყო გაერთიანებული. ეს იწვევს უკმაყოფილებას სხვა ძალებში?

– მკითხველისთვის ვიტყვი, რომ „მემარცხენე ალიანსი“ ცალკე ვდგავართ და ამ ერთობაში არ ვყოფილვართ. რაც შეეხება ე. წ. „ფანჩატურის ოპოზიციას“, იქ უკმაყოფილება კი არა, დიდი დაშლაა.

– თქვენ თავიდანვე პროგნოზირებდით ამ ერთობის დაშლას.

– ამას ვამბობდი იქიდან გამომდინარე, რომ დიდი ხანია პოლიტიკაში ვარ, საუცხოოდ ვიცნობ ამ პოლიტიკოსებს. ჩვენ ერთად გვიბრძოლია 2007 წელს და სხვა დროს. კარგად ვიცი მათი აზრები ერთმანეთზე. ამ ლიდერებს ერთმანეთი ჭირივით სძულთ, სხვა საკითხებზეც განსხვავებული მოსაზრებები აქვთ. მათ არ დაუმალავთ, რომ ივანიშვილის მიმართ ზიზღმა გააერთიანა. თუ ქრისტიანები არიან, სიყვარულის საფუძველზე უნდა გაერთიანდნენ. „ფანჩატურის ოპოზიცია“ მაშინაც ფაქტობრივად დარღვეული იყო, როცა მოლაპარაკებებში მცირე ჯგუფი მონაწილეობდა. ბურჯანაძე და ბოკერია არ ჩართეს ამ პროცესში.

– რა იყო გასათვალისწინებელი საარჩევნო პროექტში და არ გაითვალისწინეს?

– ჩვენს პარტიას ყოველთვის მიაჩნდა და ახლაც მიგვაჩნია, რომ საჭიროა პარიტეტი. ეს არ არის გათვალისწინებული. ჩვენი მოსაზრებით, პარტიას, რომელმაც გადალახა არჩევნებზე 1%-იანი ბარიერი, უნდა ჰყავდეს 1 წევრი საარჩევნო კომისიებში. კომისიების ნაწილი პროფესიული ნიშნით კომპლექტდება. ეს არ არის სწორი.

– რატომ?

– იმიტომ, რომ მათ არქმევენ ნეიტრალურებს, სინამდვილეში კი ეს ადამიანები არიან მმართველი პარტიის მომხრეები. კიდევ, დაწერილი და პარლამენტში შეტანილი გვაქვს წინადადება საარჩევნო კოლეგიის შესახებ: სასამართლო სისტემაში უნდა შეიქმნას სპეციალური კოლეგია საარჩევნო დარღვევების გამოსაძიებლად. საერთო სასამართლოები ამით არ უნდა დაკავდნენ.

– სასამართლო რეფორმა ხსენებული გაფორმებული მემორანდუმის ერთ-ერთი პუნქტია. აშშ-ისა და ევროკავშირის ელჩების ბოლო მიმართვაში იყო ამ საკითხის ხაზგასმა.

– ძალიანაც სწორად იყო ამაზე გამახვილებული ყურადღება. კომუნისტების პერიოდის ჩათვლით, საქართველოში სასამართლო ყოველთვის დამოკიდებული იყო ხელისუფლებაზე. ახლაც ასეა. ჩვენ ამაზეც გვაქვს დაწერილი პროექტები. წინა ხელისუფლების პერიოდში ისინი პარლამენტში შევიტანეთ. ჩვენი აზრით, მოსამართლეები რომელიმე დონეზე მაინც არჩევითი უნდა იყოს. ამ მოსამართლეებს ხალხი უნდა ირჩევდეს. ბუნებრივია, უნდა გატარდეს კიდევ უამრავი ზომა იმისთვის, რომ ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელი სასამართლო და არ იყოს კლანები.

– ამავე მემორანდუმით, გამოსაცხადებელია ამნისტია 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებზე. ამის პარალელურად ხვიჩიას „გირჩი“ გამოდის ინიციატივით, რომ ამნისტია გავრცელდეს ასევე 2007 წლის 7 ნოემბრისა და 2011 წლის 26 მაისის ამბებზე.

– ეს კატეგორიულად მიუღებელია. 7 ნოემბრისა და 26 მაისის სისხლიან მოვლენებზე ამნისტიის გამოცხადების იდეის მიზანია სააკაშვილისთვის ნამუსის მოწმენდა. „გირჩი“ ჰუმანური მოტივებით არ ხელმძღვანელობს. მათ უნდათ, რომ გამართლდეს სააკაშვილი. ამ საქმეების გამოძიება ისევ მიმდინარეობს. ზოგიერთი დამნაშავე სამართალში მიეცა. ამ საკითხმა ხალხი ააფორიაქა. უმრავლესობა „გირჩის“ წინადადებას მხარს არ უჭერს. ის მისაღებია ნაციონალური მოძრაობისათვის. იმ მოვლენებში სააკაშვილის გარდა, ბრალი მიუძღვის ბოკერიას. ბოკერია, ასევე, გარეულია ციხის ბუნტში, რომელსაც მსხვერპლი მოჰყვა. 26 მაისს 4 ადამიანი შეეწირა. 7 ნოემბერს დაშავებულები შემდეგ წლებში გარდაიცვალნენ. გვერდიგვერდ ვიდექით 7 ნოემბერს მე და კობა დავითაშვილი. მან გამოაცხადა, რომ მიდის გახმოვანებისთვის საჭირო ტექნიკის შესაძენად. მოძალადეები და ჯალათები მას აედევნენ. სამწუხაროდ, კობა დავითაშვილი მარტო იყო. მაშინ მიყენებული ტრავმების გამო ის რამდენიმე თვის წინ გარდაიცვალა. ეს ერთი მაგალითია. ასე რომ, იმ ამბებზე ამნისტია შეუძლებლად მიგვაჩნია.

– 23 მაისს რიონის ხეობის დამცველებმა დედაქალაქში გადმოინაცვლეს. ისინი ნამახვანჰესის მშენებლობას ეწინააღმდეგებიან.

– ჩვენი პოზიცია ასეთია – საქართველოში დიდი რაოდენობით უნდა აშენდეს მცირე და საშუალო ჰესები. ჩვენ გიგანტური ჰიდროელექტროსადგურების მოწინააღმდეგეები ვართ. 100-მეტრიანი კაშხალი უკვე პრობლემას ქმნის და რისკის ქვეშ აყენებს ეკოლოგიას. ამიტომ, კაშხლები არ უნდა იყოს 50-60 მეტრზე მეტი. ენგურჰესიც, ჟინვალჰესიც ხიფათის შემცველია. ამიტომ, ჩვენ რიონის ხეობის დამცველებს ამ ნაწილში ვეთანხმებით. არ ვიზიარებთ იმათ აზრს, ვინც ამბობს, რომ საქართველოში ჰესები საერთოდ არ უნდა შენდებოდეს. მცირე და საშუალო სიმძლავრის ჰესები გვჭირდება. თანაც, ბევრი.

თენგიზ დიხამინჯია: „დამოუკიდებლობის დღე აღინიშნოს 9 აპრილს და არა 26 მაისს“

გულიკო ბალაძე

1990 წელს არჩეული უზენაესი საბჭოს დეპუტატები, რომლებსაც ხელი აქვთ მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე, პარლამენტს მიმართავენ, დამოუკიდებლობის დღედ აღიარებული იქნას არა 26 მაისი, არამედ 9 აპრილი. ამ საკითხთან დაკავშირებით დეპუტატთა ჯგუფმა ბრიფინგი გამართა.

– ჩვენი საზოგადოების ყველაზე დიდი ნაკლოვანება ისაა, რომ ვერ ჩამოყალიბდა თანხმობის იდეა. ვერ შევჯერდით, მაგრამ იმედია, ჭეშმარიტი, სულიერი ეროვნული თანხმობა ერთიანობითა და თანადგომით შედგება, როგორც ამას თავის დროზე გიორგი ბრწყინვალე აღნიშნავდა, – განაცხადა უზენაესი საბჭოს დეპუტატმა თენგიზ დიხამინჯიამ.

მისი თქმით, 30 წლის წინ დაწყებული ბრძოლა ჰეროიკული გამარჯვებით, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენით დამთავრდა. 30 წლის წინ, დიდი ისტორია შეიქმნა (რომლის შემოქმედთაგან დღეს ზოგი ცოცხალი აღარ არის) და ის ისტორია დღეს ნიველირებულია.

– უზენაესი საბჭოს დეპუტატები გამოვდივართ ინიციატივით, დამოუკიდებლობის დღე აღინიშნოს არა 26 მაისს, არამედ 9 აპრილს. ის გაორება, რაც ციფრებთან დაკავშირებით არსებობს და ვითომ საკრალურ ხასიათს იღებს, თითქოს ორი დამოუკიდებლობის დღეა, 9 აპრილი და 26 მაისი, უნდა დალაგდეს, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას.

9 აპრილი სულ სხვა საკრალურ იდეებს, სულ სხვა მსოფლმხედველობას და ახალ მონაპოვარს ატარებს. დამოუკიდებლობა ემყარება ორ ფაქტორს: პირველი – შინაგან ლეგიტიმაციას, ხალხის ნების გამოხატულებას და მეორე – გარედან აღიარებას. 1991 წლის 9 აპრილი იმიტომ არის ღირსშესანიშნავი, რომ გვქონდა შინაგანი ლეგიტიმაცია რეფერენდუმის სახით და გარედან აღიარება. საქართველო დგას ამ მონაპოვარზე, გაორება დაუშვებელია, რადგან ხდება ადამიანის ცნობიერების გაორება. გაორებული ადამიანი კი საშიშია როგორც საზოგადოებისთვის, ისე ქვეყნისთვის. ან ბუტაფორიად გადაიქცევა, ან სავაჭრო საგნად. საჭიროა სუვერენიზაციის აქტი განვამტკიცოთ, – აცხადებს თენგიზ დიხამინჯია.

„9 აპრილის დამოუკიდებლობის დღედ გამოცხადების თაობაზე ინიციატივის“ პარლამენტში დარეგისტრირება თავის თავზე აიღო აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრმა, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატმა თემურ მჟავიამ.

– საზოგადოებაში არის გაორება ორი თარიღის 9 აპრილისა და 26 მაისის მნიშვნელობის მიმართ. ჩვენი მიზანია, ეს ორი თარიღი ერთმანეთის სახელდებით გავმიჯნოთ, ხოლო შინაარსით შევავსებინოთ ერთმანეთი. უზენაესი საბჭოს დიდი ნაწილი აქტიურ პოლიტიკაში ჩართული არ არის, მაგრამ საზოგადოების გაორება საშიშია და ჩვენ ამას ვეღარ შევურიგდებით, – განაცხადა თემურ მჟავიამ.

9 აპრილის დამოუკიდებლობის დღედ აღიარების თაობაზე საკანონმდებლო ინიციატივას საქართველოს პარლამენტს აფხაზეთის უმაღლესი საბჭო წარუდგენს.

– აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანო გახლავთ ის ორგანო, რომელსაც შედარებით გამარტივებული წესით შეუძლია წარადგინოს საკანონმდებლო ინიციატივა საქართველოს პარლამენტში, სადაც ჩვენი ინიციატივა განხილვას უნდა დაექვემდებაროს. იმედი მაქვს, ჩემი კოლეგები აფხაზეთის უმაღლესი საბჭოდან ამ ინიციატივას მხარს დაუჭერენ და კონსოლიდირებულად დავიწყებთ მუშაობას ამ თემაზე, – აღნიშნა თემურ მჟავიამ.

– 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტი მიღებული იქნა ეროვნული საბჭოს სხდომაზე. ეროვნული საბჭო არჩეული იქნა 1917 წლის ნოემბრის ეროვნული ყრილობის მიერ და მას არ ჰქონდა ლეგიტიმურობის დაბალი ხარისხი. ამაზე ისიც მეტყველებს, დამოუკიდებლობის აქტის (რომელშიც 7 მუხლი იყო) ერთ-ერთი მუხლი უშუალოდ მიუთითებს, რომ უნდა ჩატარებულიყო საყოველთაო საპარლამენტო არჩევნები.

პირველი ქართული დამფუძნებელი კრების, საპარლამენტო ორგანოს არჩევნები ჩატარდა 1919 წლის 14-15 და 16 თებერვალს. სამი დღის მანძილზე ტარდებოდა, რომელშიც მონაწილეობდა თითქმის ყველა აქტიურ ფაზაში მყოფი პოლიტიკური ორგანიზაცია, მათ შორის, „დაშნაკ ცუტუნიც“, რომელმაც შემდგომში, გარკვეული პროცედურების გავლის შემდეგ, 2 თუ სამი წევრი მოავლინა საქართველოს პარლამენტში.

ასევე, ერთიანი სუბიექტის სახით მონაწილეობდა „უპარტიოთა გაერთიანება“, რომელსაც ხელმძღვანელობდა ყველასათვის კარგად ცნობილი კოტე აფხაზი (შემდეგ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი გახლდათ).

ასეთი ლეგიტიმურობით დატვირთულმა ორგანომ მიზანშეწონილად ჩათვალა პირველსავე სხდომაზე (რომელიც 1919 წლის 12 მარტს ჩატარდა), პირველივე საკითხად განეხილა 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის დადასტურება. წარმოიდგინეთ, რომ ამ გამოცხადებას დასჭირდა სამართლებრივი დადასტურება, რომელსაც შეფასება სჭირდება, – აღნიშნა თემურ მჟავიამ.

თემურ მჟავია ამბობს, რომ მათ მიზანს არ წარმოადგენს ამ ორი თარიღის დაპირისპირება. უნდათ ამ ორმა თარიღმა სამართლებრივი წონადობით ერთმანეთი შეავსოს.

– 9 აპრილი გლოვის დღედ იმ ადამიანის ინიციატივით გამოცხადდა, რომელიც აბსოლუტურად უარყოფდა ყველა იმ პოზიტიურ ისტორიულ მოვლენას, რომელსაც საქართველოში ადგილი ჰქონდა მისი თანამონაწილეობის გარეშე.

1993 წლის პარლამენტმა მიიღო დადგენილება და 9 აპრილს დაარქვეს დამოუკიდებლობის აქტის მიღების, სამოქალაქო ერთობის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისთვის მებრძოლთა ხსოვნის დღე

თითოეულ შემადგენელს ფასეულობათა სისტემაში თავისი ადგილი გააჩნია, როგორც გმირებს, თანხმობას, ასევე დამოუკიდებლობის გამოცხადებას. ავტორმა ყველა ისინი ამ დადგენილებაში მოაქცია, რათა ერთ მოვლენასა და შინაარსს მეორე გადაეფარა. ამიტომ არ შეიძლება ამ დადგენილების ერთგულება. საქართველოს უზენაესი საბჭოს მთელი შემადგენლობა კონსოლიდირებულია და დამოუკიდებლობის დღედ 9 აპრილის გამოცხადებას მოითხოვს.

ქემალ არძინბას მკვლელობისთვის ბათალ ფილია დააკავეს



ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო ექსპრეზიდენტის ვლადისლავ არძინბას ძმისშვილის, ქემალ არძინბას მკვლელობაში ეჭვმიტანილი დაკავებულია.

დაკავებულია 1992 წელს დაბადებული ბათალ ნოდარის ძე ფილია. მისი დაკავება 19 მაისს საღამოს მოხდა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს საგამოძიებო ოპერატიული ღონისძიებები მტკიცებულებების შესაკრებად.

ბათალ ფილია 2019 წელს იარაღის უკანონო შენახვა-ტარებისთვის იყო დაკავებული, მას ნარკოდანაშაულსაც ედავებოდნენ. მისი დაკავება მიმდინარე წლის თებერვალშიც მოხდა იარაღის გამო.

ფილიას თანამზრახველიც ჰყავდა – გარიკ ავიძბა, რომელიც ამ დროისთვის მიმალვაშია.

ქემალ არძინბა 18 მაისს სოხუმში იმამ შამილის ქუჩაზე მოკლეს.

„მეუფე საბა გიგიბერიას 12 წლის დისშვილი დააბეს და ფულის ტომრების ადგილსამყოფელს ეკითხებოდნენ“

კურიერისთვის ცნობილი გახდა 2020 წლის აგვისტოში სენაკში მომხდარი გახმაურებული ყაჩაღობის დეტალები.

საქმე ეხება სამტრედიისა და ხონის მიტროპოლიტ საბა გიგიბერიას, რომლის სახლშიც ყაჩაღები ფულით სავსე ტომრებს ეძებდნენ. თავდამსხმელებს წინასწარ ჰქონდათ ინფორმაცია, რომ მიტროპოლიტმა საბა გიგიბერიამ, რომელიც ამავე დროს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარეა, სახლში დიდი ოდენობით თანხა მიიტანა.

თავდამსხმელებმა ხელ-ფეხი თოკებით შეუკრეს სასულიერო პირის დას, 90 წლის დედას, 12 წლის დისშვილს და დამხმარე ქალს. ერთ-ერთი ბრალდებული, 70 წლის რობერტ გოდერიძე, იმ ეპარქიის მცხოვრებია, რომელსაც მიტროპოლიტი ხელმძღვანელობს, მისი შვილი კი წარსულში ეპარქიაში მსახურობდა.

მიტროპოლიტის 12 წლის დისშვილის ჩვენების მიხედვით, ის თავდამსხმელებმა ოჯახის სხვა წევრებთან ერთად დააბეს და სთხოვდნენ ეღიარებინა, სად ინახავდა მღვდელმთავარი ფულით სავსე ტომრებს.

– ერთ-ერთმა მაღალმა თავდამსხმელმა საწოლიდან აიღო ზეწარი, დანით დაანაწევრა და აღნიშნული ზეწრით შეგვიკრა ხელ-ფეხი. პისტოლეტიანმა თავდამსხმელმა ჩვენს დამხმარე ქალს უბრძანა გაჰყოლოდა მეორე ოთახში. ფეხებშეკრული გაიყვანა და უთქვამს, ვნახე მეუფე საბა, 5 დღის წინ, ორი დიდი ჩანთა ფულით მოვიდა სახლში და აქ დატოვაო. სხვადასხვა ოთახებში ეძებდნენ ფულს. საბოლოოდ მათ 100 ლარი და მობილური ტელეფონი წაიღეს, – ნათქვამია ჩვენებაში.

მართლაც ინახებოდა თუ არა დიდი ოდენობით ფული ხონისა და სამტრედიის ეპისკოპოსის სახლში? – ამ საკითხზე მიტროპოლიტმა და მისი ოჯახის წევრებმა კომენტარის გაკეთება არ ისურვეს.

საქმეში მიტროპოლიტის განმარტება დევს, რომელშიც ის ფულით სავსე ტომრების მის სახლში არსებობას უარყოფს.

– სახლში არავითარი ორი ჩანთა, თუ პარკი არ მიმიტანია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, ვერ შევძლებდი ორი ჩანთისა, თუ პარკის ხელში დაჭერას. თავდასხმის დღეს, როგორც ჩვეულებრივ, სახლში ჩემი ოთახის კარი გასაღებით მქონდა ჩაკეტილი, როდესაც სახლში დავბრუნდი, კარი ისევ ჩაკეტილი დამხვდა და მე გავაღე. ჩემს ოთახში არც ერთი თავდამსხმელი არ შესულა, – ნათქვამია ჩვენებაში.

მსჯავრდებულის ადვოკატი საქმეს გაყალბებულს უწოდებს. რობერტ გოდერიძის ინტერესების დამცველი 9-წლიან განაჩენს სააპელაციო სასამართლოში ასაჩივრებს.

ამ ეტაპზე, პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, საქმეზე 9-წლიანი პატიმრობა აქვს მისჯილი მხოლოდ ერთ პირს – რობერტ გოდერიძეს, თუმცა, სავარაუდო დამკვეთების და დანაშაულში მონაწილე სხვა პირების მიმართ გამოძიება გრძელდება.

„50 ლარი მომეცი და შვილთან 3 დღე დაგალაპარაკებ“

რას წერს ყოფილი ცოლი გიგი დავითაშვილს



მამა 5 წლის შვილის ნახვის უფლებას ითხოვს და აცხადებს, რომ მისი ყოფილი მეუღლე ბავშვთან კონტაქტის სანაცვლოდ ფულის გადახდას სთხოვს.

მისი თქმით, მოზარდი დედის მხრიდან ფიზიკური და ფსიქოლოგიური ანგარიშსწორების მსხვერპლია.

მეუღლეებს შორის დავა ახლა სააპელაციო სასამართლოში მიმდინარეობს. მეორე ინსტანციის სასამართლოს მცირეწლოვანის მამამ მას შემდეგ მიმართა, რაც პირველმა ინსტანციამ ბავშვის საცხოვრებელ ადგილად დედის სახლი განსაზღვრა.

მამა ამბობს, რომ დედა ბავშვით მანიპულირებს და მტკიცებულებებად შეტყობინებები მოჰყავს.

„50 ლარის მიხედვით სამი დღე დაგალაპარაკებ და თუ ჩარიცხავ, კიდე დაგალაპარაკებ, თუ არადა მეტი აღარ შემაწუხო“ – ნათქვამია ბავშვის დედის მიერ მიწერილ შეტყობინებაში.

გიგი დავითაშვილის ყოფილმა მეუღლემ, ეკა ხატიაშვილმა, „კურიერის“ კითხვებს სასამართლოს ეზოში არ უპასუხა. სახლში გაკეთებული კომენტარისას კი, ოჯახმა გავრცელებული ინფორმაცია უარყო და ბავშვზე ძალადობაში მამა დაადანაშაულა.

შვილის ინტერესების დასაცავად მამა ბრძოლას ქვეყნის ფარგლებს გარეთაც აპირებს. ყოფილ მეუღლეებს შორის დავაზე შესაძლოა სტრასბურის ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომაც იმსჯელოს.

გორში 62 წლის ვ.კ.-ს დაჭრისთვის 48 წლის დ.ა. დააკავეს

„კედელთან ისე მოაქციეს, რომ ვეღარ გადიოდა“

სამართალდამცველებმა 1972 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი დ.ა. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ქალაქ გორში, ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოში, ურთიერთშელაპარაკებისას, ნაცნობი – 1958 წელს დაბადებულ ვ.კ. ცივი იარაღის გამოყენებით ზურგის არეში დაჭრა.

ირკვევა, რომ დაკავებულს რამდენიმე ადამიანი სცემდა.

– ისე მოაქციეს კედელთან, რომ ეს კაცი ვეღარ გავიდა. მე ვეხმარებოდი, ვაშველებდი, მაგრამ მე ძირს დამაგდეს. ტელეფონი ამომივარდა და მერე დავიწყე უკვე წივილი, ბავშვს ვუთხარი, დარეკე პატრულში-მეთქი. როგორ დაარტყა დანა, ეს არ დამინახავს, ბავშვი ამბობს, მე დავინახეო, – უთხრა თვითმხილველმა რუსთავი 2-ს.

დაჭრილი მამაკაცი კლინიკაში მოათავსეს, სადაც შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაეწია.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ლანჩხუთში 16 წლის ბიჭის ცხედარი იპოვეს

გუშინ, 23 მაისს, ლანჩხუთის გარეუბანში, რკინიგზის სადგურისა და აგრარული ბაზრის მიმდებარედ 16 წლის ბიჭის ცხედარი იპოვეს.

არსებული ინფორმაციით, არასრულწლოვანმა თავი მოიკლა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის ალექსანდრე სარიშვილის ინფორმაციით, გარდაცვლილი მინდობით აღზრდაში მყოფი პირი იყო.

დიდ დიღომში ახალგაზრდის დაჭრისთვის 1 პირი დააკავეს

დიდ დიღომში, მირიან მეფის ქუჩაზე მომხდარ დაჭრაში ბრალდებული დააკავეს.

„მთავართან“ საუბარში დაკავებულის მამა ამბობს, რომ ახალგაზრდებს შორის იყო კამათი და მის შვილს დანა არ ჰქონია.

კრიმინალური შემთხვევა დედაქალაქში 20 მაისს, საღამოს საათებში მოხდა. დაჭრილს დაზიანებები დანით აქვს მიყენებული. ახალგაზრდას კლინიკაში გადაყვანისთანავე ოპერაცია ჩაუტარდა, ამჟამად კი მისი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

გამოძიება მომხდარზე სსკ-ის 117-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

თბილისში, აბანოთუბანში 1 მამაკაცი მოკლეს, 3 დაჭრეს

გუშინ, 23 მაისს, კრწანისის რაიონში, აბანოთუბნის მიმდებარე ტერიტორიაზე ახალგაზრდებს შორის ფიზიკური დაპირისპირების შედეგად 1 ადამიანი დაიღუპა, 3 კი დაიჭრა.

არსებული ინფორმაციით, მომხდარს წინ ურთიერთშელაპარაკება უძღოდა.

დაშავებულებს ჭრილობები ცივი იარაღით აქვთ მიყენებული. 2 დაჭრილი ინგოროყვას კლინიკაშია მოთავსებული და მათი მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა, 1 სასწრაფო დახმარების ეკიპაჟმა ნიუ ჰოსპიტალში გადაიყვანა. გარდაცვლილი არამიანცის კლინიკაშია გადასვენებული.

დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის პოლიციამ 1 პირი დააკავა.

თბილისში, ინფექციურთან 3 მანქანა დაეჯახა ერთმანეთს

4 ადამიანი დაშავდა

თბილისში, ინფექციურ საავადმყოფოსთან, 20 მაისს ღამით ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა.

ერთმანეთს 3 ავტომობილი შეეჯახა, დაშავებულია 4 ადამიანი.

ავარიის შედეგად 1 მანქანა აალდა. მომხდარზე გამოძიება 276-ე მუხლით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია.

შსს-მ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1.321 ფაქტი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, ბოლო 24 საათის განმავლობაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1.321 ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად 59 პირი დააჯარიმა.

დაჯარიმებულთა შორის არიან მოქალაქეები, რომლებმაც 23 საათიდან დილის 5 საათამდე დაწესებული გადაადგილების შეზღუდვის წესი დაარღვიეს.

გარდა ამისა, ბოლო 24 საათის განმავლობაში, პირბადის ტარების წესის დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად 1065 ფიზიკური პირი დაჯარიმდა, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევის 197 ფაქტი გამოვლინდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

პირბადის ტარების წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(11) -ე მუხლის შესაბამისად ჯარიმას 20 ლარის ოდენობით, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევა ასკ-ის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად ითვალისწინებს 40 ლარით დაჯარიმებას.

იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 10.000 ლარის ოდენობით.

განმეორებითი ჯარიმა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ არსებულ რეგულაციებს.

ბაიდენმა ამერიკის სანაპირო დაცვის აკადემიის 2 ქართველ კურსდამთავრებულს დიპლომი პირადად გადასცა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, ამერიკის შეერთებული შტატების სანაპირო დაცვის აკადემიაში სასწავლებლად მყოფ ნიკოლოზ ტვილდიანს და სანდრო სტაჟაძეს აშშ-ის პრეზიდენტმა – ჯო ბაიდენმა აკადემიის გამოსაშვებ ღონისძიებაზე სწავლის წარმატებით დასრულება მიულოცა.

კონექტიკუტის შტატში, ქალაქ ნიუ ლონდონში გამართულ საზეიმო ცერემონიალს ამერიკული მხარის მიწვევით დაესწრნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის უფროსი, პოლკოვნიკი ნიკოლოზ შარაძე და სანაპირო დაცვის დეპარტამენტის დირექტორი, I რანგის კაპიტანი რამაზ პაპიძე.

ბაიდენმა ამერიკული აკადემიის ქართველ კურსდამთავრებულებს დიპლომები ნიკოლოზ შარაძესა და რამაზ პაპიძესთან ერთად გადასცა.

ნიკოლოზ ტვილდიანი და სანდრო სტაჟაძე აშშ-ის სანაპირო დაცვის აკადემიაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით გაგზავნილი პირველი კადეტები არიან, რომლებიც, საბაკალავრო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ სანაპირო დაცვის რიგებში იმსახურებენ.

ამერიკის შეერთებული შტატების სანაპირო დაცვის აკადემია წელს 240 კურსანტმა დაასრულა. 7 უცხოელ კურსდამთავრებულს შორის ორი ქართველი: ნიკოლოზ ტვილდიანი და სანდრო სტაჟაძე არიან. სანაპირო დაცვის აკადემია ამერიკის საუკეთესო სამხედრო აკადემიების ათეულში შედის. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აკადემიაში ჩაბარების მსურველთა შესარჩევ პროცესში, თავისი კომპეტენციიდან გამომდინარე, 2017 წელს პირველად ჩაერთო. რთული კონკურსის გავლის შემდეგ, სწავლის უფლება, 4 წლის წინ, მხოლოდ ნიკოლოზ ტვილდიანმა და სანდრო სტაჟაძემ მოიპოვეს.

სამეგრელოში 3 ერთეული უკანონო სახერხი საამქრო გამოვლინდა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 3 ერთეული დაურეგისტრირებელი სახერხი საამქრო გამოავლინეს.

ორი შემთხვევა ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონში დაფიქსირდა – მოქალაქის საკარმიდამო ეზოში დაურეგისტრირებული ცირკული ტიპის სახერხი საამქრო გამოვლინდა, მეორე შემთხვევაში, დაურეგისტრირებული ცირკული ტიპის სახერხი საამქრო, 8 ერთეული ალვის სახეობის მრგვალი ხე-ტყე(მორი) და 0.2 მ3 თხმელას (მურყანი) სახეობის ფიცარი.

„გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა დაურეგისტრირებელი ლენტური ტიპის სახერხი საამქრო გამოავლინეს მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ კურზუშიც. მოქალაქის საცხოვრებელი სახლის ეზოში ლენტური ტიპის სახერხი დანადგარი და 183 ერთეული ცაცხვის სახეობის პირველადი გადამუშავების პროდუქტი – ფიცარი დაფიქსირდა. სახერხი საამქროები და ტერიტორიაზე არსებული ხე-ტყე დაილუქა. ვინაიდან ფაქტები შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, შესაბამის უწყებებში გადაიგზავნა“ – ნათქვამია უწყების ინფორმაციაში.

მანქანა გოდერძის უღელტეხილთან ხევში გადავარდა

1 ადამიანი დაიღუპა, 3 დაშავდა

22 მაისს ხულო-ზარზმის დამაკავშირებელ გზაზე მომხდარ ავარიას 1 ადამიანი ემსხვერპლა, 3 კი დაშავდა.

ავტომობილის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და გოდერძის უღელტეხილთან ხევში გადავარდა.

დაშავებულები ახალციხის რეფერალურ ჰოსპიტალში შეიყვანეს.

დაშავებულები და გარდაცვლილი სოფელ ღელოვნიდან არიან.

საერთაშორისო

ჯო ბაიდენი კიმ ჩენ ინთან შეხვედრის პირობებს ასახელებს

აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი აცხადებს, რომ ფხენიანის ბირთვული შეიარაღების პროგრამით შეშფოთებულია და მისი საბოლოო მიზანი კორეის ნახევარკუნძულის სრული ბირთვული განიარაღებაა.

– ღრმად ვართ შეშფოთებული ამ სიტუაციით. ჩვენი ორი ქვეყანა ასევე მზად არის, დიპლომატიურად ითანამშრომლოს ჩრდილოეთ კორეასთან და გადადგას პრაგმატული ნაბიჯები დაძაბულობის შესამცირებლად, – აღნიშნა ბაიდენმა სამხრეთ კორეის პრეზიდენტ მუნ ჯე-ინისთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე.

მისი თქმით, მზადაა, ჩრდილოეთ კორეის ლიდერს, კიმ ჩენ ინს, გარკვეული პირობების შესრულების შემთხვევაში შეხვდეს. კითხვაზე, განიხილავს თუ არა ის კიმ ჩენ ინთან შეხვედრას, აშშ-ის პრეზიდენტმა უპასუხა, რომ ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა ბირთვულ არსენალთან დაკავშირებით მოლაპარაკებების გამართვის ვალდებულება უნდა მიიღოს და ნება დართოს თავის მრჩევლებს ამ შეხვედრის მომზადების მიზნით ამერიკელ კოლეგებთან მოლაპარაკებები გამართონ.

აშშ-ის პრეზიდენტის თქმით, ამ ძალისხმევის მხარდასაჭერად მან ჩრდილოეთ კორეის საკითხებში აშშ-ის სპეციალურ წარმომადგენლად სუნგ კიმი დანიშნა.

იერუსალიმში ალ-აქსას მეჩეთთან შეტაკებები მოხდა

21 მაისს ისრაელსა და ჰამასის დაჯგუფებას შორის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების მიუხედავად, პალესტინელ დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის პარასკევის ღამის შემდეგ, იერუსალიმის ალ-აქსას მეჩეთის კომპლექსში შეტაკებები დაიწყო.

პოლიციამ დემონსტრანტების წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა, ხოლო პალესტინელებმა სამართალდამცავებს ქვები ესროლეს. დაპირისპირება მოხდა დასავლეთ სანაპიროზეც.

ისრაელი და ჰამასის დაჯგუფება ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმდნენ. ისრაელის უსაფრთხოების კაბინეტმა ერთხმად დაუჭირა მხარი ეგვიპტის წინადადებას უპირობო, ორმხრივი ზავის შესახებ.

ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება ძალაში 21 მაისს შევიდა, რომლის შესრულების შემთხვევაში, 11-დღიანი ომი დასრულდება.

იტალიაში საბაგირო ჩამოვარდა

8 ადამიანი დაიღუპა

სულ მცირე, 8 ადამიანი დაიღუპა ფუნიკულიორის კაბინის ვარდნის გამო იტალიის პიემონტის პროვინციაში.

დაშავებულია 2 ბავშვი, რომლებიც საავადმყოფოში მძიმე მდგომარეობაში გადაიყვანეს.

ინციდენტი გუშინ, 23 მაისს, საბაგირო გზაზე მოხდა, რომელიც ლაგო მაჯორეს ტბის სანაპიროს მონტენორეს მთასთან აკავშირებს, რომლის სიმაღლე 1.500 მეტრია.

ვაგონში 11 ადამიანი იყო. საბაგიროს კაბინა მთის მწვერვალამდე 100 მეტრის დაშორებით ჩამოვარდა.

ჩინეთში ზედიზედ 2 ძლიერი მიწისძვრა მოხდა



22 მაისს ჩინეთში ზედიზედ ორი ძლიერი მიწისძვრა მოხდა. ბოლო მიწისძვრა ცინხაის პროვინციაში დაფიქსირდა.

აშშ-ის გეოლოგიური სამსახურის მონაცემებით, 7.4 მაგნიტუდის მიწისძვრა 10 კილომეტრის სიღრმეში დაფიქსირდა. მანამდე, რამდენიმე საათით ადრე 6.3 მაგნიტუდის მიწისძვრა დაფიქსირდა იუნანის პროვინციაში, დალიში.

იუნანში მომხდარ მიწისძვრას მსხვერპლი მოჰყვა, არიან დაშავებულებიც. ადგილზე სამაშველო ოპერაცია განხორციელდა.

ბელარუსის ციხეში პოლიტპატიმარი გარდაიცვალა

ბელარუსის ციხეში პოლიტპატიმარი ვიქტორ აშკუროკი გარდაიცვალა. ის 50 წლის იყო. სიკვდილის მიზეზად სახელდება გულის გაჩერება.

სხვა ინფორმაცია ჯერჯერობით არ არის.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სპორტი

სანიოლს ცვლილება შეკრებამდე მოუხდა

საქართველოს ეროვნული გუნდი ამხანაგური მატჩებისთვის მზადებას იწყებს. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა 26 ფეხბურთელით შემდგარი შემადგენლობა კი გამოაცხადა, მაგრამ კორექტირების შეტანა მოუწია.

სამხრეთ კორეაში კოვიდ პანდემიისგან გამოწვეული გადაადგილების შეზღუდვის გამო, საქართველოს ნაკრებს ამხანაგურ შეხვედრებში ულსან ჰიუნდაის ქართველი ლეგიონერი ვაკო ყაზაიშვილი ვერ დაეხმარება.

მთავარი მწვრთნელის გადაწყვეტილებით, გუნდს უნგრული უიპეშტის ფეხბურთელი გიორგი ბერიძე შეუერთდება.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა:

მეკარეები: გიორგი ლორია (ანორთოსისი, კვიპროსი), ლაზარე კუპატაძე (დინამო ბთ), გიორგი მამარდაშვილი (ლოკომოტივი, საქართველო);

მცველები: გურამ კაშია (ლოკომოტივი, საქართველო), ოთარ კაკაბაძე (ტენერიფე, ესპანეთი), ლაშა დვალი (ფერენცვაროში, უნგრეთი), დავით ხოჭოლავა (შახტარი, უკრაინა), გურამ გიორბელიძე (ვოლფსბერგერი, ავსტრია), სოლომონ კვერკველია (როტორი, რუსეთი), გრიგოლ ჩაბრაძე, ირაკლი აზაროვი (ორივე დინამო ბთ);

ნახევარმცველები: ნიკა კვეკვესკირი (ლეხი, პოლონეთი), გიორგი აბურჯანია (კარტახენა, ესპანეთი), საბა ლობჟანიძე (ანკარაგიუჯიუ, თურქეთი), ჯაბა ჯიღაური (დინამო ბთ), ოთარ კიტეიშვილი (შტურმი, ავსტრია), ხვიჩა კვარაცხელია (რუბინი, რუსეთი), ვაკო გვილია (ლეგია, პოლონეთი), ზურიკო დავითაშვილი (როტორი, რუსეთი), მურთაზ დაუშვილი (ანორთოსისი, კვიპროსი), ლევან შენგელია (ქონია, თურქეთი);

თავდამსხმელები: თორნიკე ოქრიაშვილი (ანორთოსისი, კვიპროსი), გიორგი მიქაუტაძე (სერენი, ბელგია), სერგო კუხიანიძე (სამგურალი), ბუდუ ზივზივაძე (ფეჰერვარი, უნგრეთი), გიორგი ბერიძე (უიპეშტი, უნგრეთი).

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

კალეიდოსკოპი

პუმა ტურისტს ხუთი წუთი მისდევდა და თავდასხმას ცდილობდა

ამერიკის იუტას შტატის ქალაქ სოლტ-ლეიკ-სიტის მახლობლად მდებარე კანიონში პუმა ტურისტს გამოეკიდა. თვითმხილველის მიერ გადაღებული ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

13 მაისს ჯარედ სმიტი მარტო წავიდა კანიონ ბიგ-კოტონვუდის დასათვალიერებლად და მოულოდნელად პუმას გადააწყდა.

– ბილიკზე მივრბოდი და დაახლოებით ორ კილომეტრში ვიმყოფებოდი ავტოსადგომიდან, როდესაც გზის პირიდან უცნაური ხმა შემომესმა. გავიხედე და ჩემგან დაახლოებით ხუთ მეტრში პუმა შევნიშნე, – განაცხადა სმიტმა.

იმის ნაცვლად, რომ ადამიანის დანახვაზე ცხოველი გაქცეულიყო, პუმა მამაკაცს აედევნა. დევნა დაახლოებით ხუთ წუთს გაგრძელდა. სმიტი ნელ-ნელა იხევდა უკან, სანამ ცხოველს მისი დევნა არ მობეზრდა.

მამაკაცის თქმით, პუმა დროდადრო ცდილობდა მასზე თავდასხმას და კბილებს კრეჭდა. სმიტმა ეს ყოველივე ვიდეოზე გადაიღო. მისი ვარაუდით, ცხოველი ამით თავისი ბოკვერების დაცვას ცდილობდა.

მამაკაცმა ყოფილ შეყვარებულს ათასზე მეტი შეტყობინება გაუგზავნა და თავი სასამართლოში ამოყო

ბრიტანელს, რომელიც ყოფილ შეყვარებულს არ ასვენებდა და ათასზე მეტი შეტყობინება გაუგზავნა, მოსამართლის წინაშე მოუწია წარდგომა.

ინგლისის დიდი მანჩესტერის საგრაფოს ქალაქ რედკლიფის მკვიდრმა ტომას ბასეტმა თავისი ყოფილი შეყვარებული ბეტანი ანდერსონი იმ ზომამდე მიიყვანა, რომ მან სახლის საკეტები შეცვალა და სახლიდან გამოსვლის ეშინოდა.

წყვილი ერთმანეთს 2018 წლიდან ხვდებოდა, მაგრამ 2021 წლის თებერვალში ისინი ერთმანეთს დაშორდნენ. დაშორების შემდეგ ბასეტმა ყოფილი მეგობარი გოგონა პატიების თხოვნის შემცველი წერილებით აავსო და ასევე, თავის მოკვლით ემუქრებოდა.

მხოლოდ 4 თებერვალს ბასეტმა ანდერსონს 100-ზე მეტი შეტყობინება გაუგზავნა, სანამ გოგონამ მისი ნომერი არ დაბლოკა. მამაკაცი ელექტრონული ფოსტის 11 მისამართს იყენებდა. ანდერსონს ინსტაგრამში წერდა და ხელით დაწერილი წერილიც კი გაუგზავნა, რომელშიც ურთიერთობის განახლებას სთხოვდა. საბოლოოდ მამაკაცის მიერ ყოფილი შეყვარებულისთვის გაგზავნილი შეტყობინებების რაოდენობამ ათასს გადააჭარბა.

სასამართლოში, რომელსაც ბეტანი ანდერსონმა მიმართა, ბასეტმა დანაშაული აღიარა. საქმის განხილვის შედეგად მამაკაცს ხუთი წლის განმავლობაში ანდერსონთან ურთიერთობა აეკრძალა. გარდა ამისა, სასამართლომ ბრიტანელს ორი წლით პირობით პატიმრობა, ჯანსაღი ურთიერთობების დამყარების კურსების გავლა და ჯარიმის სახით 213 ფუნტი სტერლინგის გადახდა მიუსაჯა.

ქალმა შემთხვევით ჯეკპოტის მომგები ბილეთი გაანადგურა

აშშ-ში ქალმა შემთხვევით სარეცხ მანქანაში გაანადგურა ჯეკპოტის მომგები ლატარიის ბილეთი.

წინასწარი მონაცემებით, აზარტული თამაშების მოყვარულმა ქალმა სუპერლოტო პლუსის ლატარიის ბილეთი დაახლოებით ნახევარი წლის წინ იყიდა. მისი გათამაშება 2020 წლის 14 ნოემბერს შედგა და შედეგად ქალმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, 26 მილიონი დოლარი მოიგო.

კალიფორნიის შტატის ქალაქ ნორუოლში მდებარე ავტოგასამართი სადგურის მმართველის ფრენკის თქმით, სადაც გაიყიდა მომგებიანი ბილეთი, უყურადღებო გამარჯვებულმა სიმდიდრის მომტანი გასაღები ჯიბეში ჩაიდო და დაივიწყა, შემდეგ კი ტანსაცმელი სარეცხ მანქანაში მოათავსა. შედეგად მომგებიანი ბილეთი სერიოზულად დაზიანდა.

ავტოგასამართი სადგურის მმართველმა ქალს მომხდარის რეპორტიორებისთვის მოყოლა შესთავაზა, მაგრამ მან იუარა. აღნიშნულ დაწესებულებაში დამონტაჟებულმა სათვალთვალო კამერამ დააფიქსირა, თუ როგორ იყიდა ქალმა მომგებიანი ბილეთი. ჩანაწერი ლატარიის შტაბ-ბინას გადასცეს. ფრენკის მტკიცებით, ქალი დაახლოებით 40 წლის იქნება.

თუმცა ლატარიის წესების თანახმად, სათვალთვალო კამერის ჩანაწერები საკმარისი არ არის მოგების მისაღებად. ამისთვის გათამაშების გამარჯვებულმა ლატარიის ბილეთის წინა და უკანა ხედების ფოტოსურათი ან ასლი უნდა წარადგინოს. თუ მოთამაშე ვერ მოახერხებს მოთხოვნილი მტკიცებულებების წარდგენას, რომლებიც მის მოგებას ამტკიცებს, მოგებული თანხა კალიფორნიის სახელმწიფო სკოლების კეთილმოწყობას მოხმარდება.

ფულის გამო დედა შვილს ავადმყოფად ასაღებდა

ამერიკის ოჰაიოს შტატში დედა იტყუებოდა, თითქოსდა მისი გოგონა მძიმე ავადმყოფი იყო და ამას შემოწირულობების მისაღებად აკეთებდა.

34 წლის ლინდსი აბული ამტკიცებდა, რომ მის 11 წლის გოგონა რაილის ცენტრალური ნერვული სისტემის სერიოზული პრობლემები ჰქონდა. გარდა ამისა ის ამბობდა, რომ მისი შვილი დაუძლურებული იყო, თითქმის არაფერს ჭამდა, მუდმივი შეტევები ტანჯავს და გამუდმებით უწევს ტკივილგამაყუჩებელი წამლების მიღება. გოგონას მკურნალობისთვის ფულის შეგროვება ქალმა 2018 წელს დაიწყო. ფულის გამოსატყუებლად ის სხვადასხვა ხერხს იყენებდა, მათ შორის, კრაუდფანდინგურ ვებ-გვერდს, სადაც მას 4,56 ათასი დოლარი ჩაურიცხეს. ასევე მხარდაჭერის გამოხატვის მიზნით გაუგზავნეს საჩუქრები და მოსაწვევი გასართობ პარკებში გამართულ სპორტულ თამაშებზე დასასწრებად.

მინიმუმ ორი წლის განმავლობაში ქალი სოციალურ ქსელებში ყვებოდა რაილის მკურნალობის შესახებ.

– ეს პატარა ლედი ჩემი საუკეთესო მეგობარია! ილოცეთ მისთვის, სანამ ჩვენ ვიბრძვით მისი ჯანმრთელობისთვის. ჩვენ არ ვიცით თუ წინ რა გველოდება, – წერდა სოციალურ ქსელში გოგონას დედა.

მიმდინარე წლის თებერვალში ქალმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ მის გოგონას ორი თვის სიცოცხლე ჰქონდა დარჩენილი.

დროთა განმავლობაში სკეპტიკოსებს ეჭვი გაუჩნდათ აბულის სიმართლეში და მას ბრალს დებდნენ ქალიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის განზრახ გამუქებაში. ქალი დაჟინებით ამტკიცებს, რომ ექიმები დღემდე წარუმატებლად ცდილობენ რაილის ავადმყოფობის მიზეზის დადგენას. თუმცა საქმის სასამართლო მასალების თანახმად, გოგონასათვის ჩატარებულმა სამედიცინო გამოკვლევებმა ვერ გამოავლინეს აბულის შვილის მძიმე დაავადება.

სტარკის ოლქის პოლიციამ და სოციალური ზედამხედველობის სამსახურმა 13 მაისს აბულს რაილი ჩამოართვა და ის დროებით მისი მეგობრების ოჯახს ჩააბარა მოსავლელად. მალევე კი საოლქო მოსამართლემ როზმარი ჰოლმა გოგონა მის მამას ჯეიმის გადასცა. საქმეზე კი გამოძიება გრძელდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საზოგადოება

ექსპონატები მუზეუმებს უბრუნდება

მუზეუმებიდან კულტურის სამინისტროში გატანილი ექსპონატები მუზეუმებს უბრუნდება.

საქართველოს კულტურის მინისტრის ინიციატივით, 2021 წლის აპრილში დაიწყო იმ ექსპონატების შეგროვების პროცესი, რომლებიც სხვადასხვა დროს სამინისტროში შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმიდან და საქართველოს ეროვნული გალერეიდან იქნა შეტანილი.

ამ პროცესის შედეგად მოძიებული 12 ექსპონატი ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მუზეუმებს დაუბრუნდა. ესენია: ელენე ახვლედიანის „ფასანაური“ და „ძველი ქუთაისი“; ედმონდ კალანდაძის „ძველი სასაფლაო – ბაზილიკა“; გურამ (ხიტა) ქუთათელაძის „ნატურმორტი“ და „პეიზაჟი“; ლევან ლაღიძის „განდევნა“; სერგო ქობულაძის „რუსთაველი“ და „დანტე“; იდა ოცხელის „ფოთოლცვენა“; რადიშ თორდიას „მოხუცი ქალი შემოდგომის ყვავილებით“; მიხეილ ხვიტიას „შემოდგომა“; თენგიზ ცხონდიას „ძველი თბილისის კუთხე“.

ექსპონატები სამინისტროს შენობაში გამოიფინა და საჯაროდ დაუბრუნდა მუზეუმებს.

– ამით გვინდა დავასრულოთ ის არასასურველი ტრადიცია, რომლის თანახმადაც, კულტურის სამინისტროს მუზეუმებიდან ფაქტობრივად უვადოდ გაჰქონდა სხვადასხვა ექსპონატი სამინისტროს ინტერიერის მოსართავად. მუზეუმების ფონდების კუთვნილი ექსპონატების ადგილი არის მუზეუმში, რათა ისინი გამოიფინოს და ნახოს ხალხმა. მუზეუმებიდან სამინისტროში სხვადასხვა დროს 1999-2010 წლებში გატანილ ექსპონატებში აღმოჩნდა დანაკლისი. კერძოდ, 3 ექსპონატი არ აღმოჩნდა სამინისტროში, ხოლო 4 ექსპონატი გატანილი აღმოჩნდა 2010 წელს ჩეხეთში საქართველოს საელჩოში. ჩვენ გვაქვს ფაქტებით გამყარებული ვარაუდი, რომ საბედნიეროდ, ეს ექსპონატები დაკარგული არ არის. შესაბამისად, ჩვენ დავიწყეთ ჩეხეთიდან 4 ექსპონატის დაბრუნების პროცესი, რომლებიც მალე უნდა დაუბრუნდეს მუზეუმს, ხოლო 3 ექსპონატის ბედის გამოსარკვევად, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ 20 აპრილს ჩვენ მიერ წამოწყებული ხელოვნების მუზეუმის აღდგენის პროცესში, პირველ რიგში, სწორედ ახალი და თანამედროვე ქართული ფერწერის ფონდი აღიწეროს, სადაც, როგორც ჩანს, ყველაზე მეტი პრობლემა დაგროვდა არაერთი წლის განმავლობაში, – განაცხადა კულტურის მინისტრმა თეა წულუკიანმა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კალეიდოსკოპი

ორი წლის ბიჭმა მშობლები უყურადღებოდ დატოვებული პისტოლეტით დაჭრა

ორი წლის ბიჭმა ორივე მშობელი დაჭრა პისტოლეტით, რომელიც მან ტუმბოზე უყურადღებოდ მიტოვებული ნახა.

აღნიშნული ინციდენტი ამერიკის მენის შტატის ქალაქ უესტბატში მოხდა. ბავშვმა დედა ფეხში დაჭრა, ხოლო მამამ მსუბუქი დაზიანება კეფის არეში მიიღო. ასევე დაშავდა თავად ბავშვიც, ვინაიდან გასროლის შემდეგ მან პისტოლეტი ხელში ვეღარ შეიმაგრა და სახეში მოხვდა. სამივე დაშავებული საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი, სადაც ექიმებმა მათი დაზიანებები სიცოცხლისთვის უსაფრთხოდ ჩათვალეს. ამ დროისთვის პოლიცია არკვევს, თუ როგორ მოხდა ცეცხლსასროლი იარაღი ორი წლის ბიჭის ხელში.

– ეს ინციდენტი შესაძლოა გაცილებით ცუდად დასრულებულიყო, თუმცა, საბედნიეროდ, სერიოზულად არავინ დაშავებულა, – განაცხადა ადგილობრივმა შერიფმა ჯოელ მერიმ.

ავსტრალიელი ქალი ოპერაციის შემდეგ ირლანდიური აქცენტით ალაპარაკდა

ავსტრალიელი ქალი სრულიად მოულოდნელად, ყელის ოპერაციიდან მეათე დღეს ირლანდიური აქცენტით ალაპარაკდა.

27 წლის ანჟელა იენმა, ავსტრალიის კვინსლენდის შტატის ქალაქ ბრისბენიდან, მიმდინარე წლის 29 აპრილს აღმოაჩინა, რომ ირლანდიური აქცენტით დაიწყო ლაპარაკი. მანამდე, ათი დღით ადრე, მან გლანდების ამოკვეთის ოპერაცია გადაიტანა.

– არასოდეს ვყოფილვარ ირლანდიაში. ავსტრალიაში რვა წლის ასაკში ჩამოვედი და ბოლო 20 წელია მხოლოდ ავსტრალიური აქცენტით ვლაპარაკობდი, – განაცხადა იენმა.

ცნობილმა ავსტრალიელმა მეცნიერმა და მეცნიერების პოპულიზატორმა დოქტორმა კარლ კრუშელნიცკიმ განაცხადა, რომ ქალს შესაძლოა უცხოური აქცენტის უიშვიათესი სინდრომი ჰქონდეს. მან განმარტა, რომ მედიცინისთვის სულ ამ დაავადების 150 შემთხვევაა ცნობილი და ჩვეულებრივ ის თავის ქალა-ტვინის ტრავმის შედეგს წარმოადგენს. ამ დროისთვის ავსტრალიელმა მოძებნა ნევროლოგი, რომელიც მისი მდგომარეობის შესწავლას და დიაგნოზის დადგენას შეუდგა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ზაზა ფაჩულია: „უორიორსის მენეჯმენტში საკუთარი როლით კმაყოფილი ვარ“

ზაზა ფაჩულია 2003 წლის დრაფტზე 42-ე ნომრად აირჩიეს. ნბა-ში 16 სეზონი გაატარა. პირველი კლუბი ორლანდო მეჯიქი იყო, რასაც მოჰყვა მილუოკი ბაქსი, ატლანტა ჰოუქსი, დალას მავერიქსი, გოლდენ სტეიტ უორიორსი და დეტროიტ პისტონსი.

36 წლის ფაჩულია გოლდენ სტეიტის რიგებში ლიგის 2-გზის ჩემპიონია, მისი საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები კი ასე გამოიყურება: 20.3 წუთი, 6.8 ქულა, 5.8 მოხსნა, 1.3 პასი.

საქართველოს საკალათბურთო ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა ესპანურენოვანი ვებგვერდის მიწვევით გულშემატკივრების კითხვებს უპასუხა.

– მოთამაშის კარიერიდან ყველაზე მეტად რა დაგამახსოვრდათ?

– ნბა-ში 16 წელი გავატარე და 1.000-ზე მეტი მატჩი ვითამაშე. 2 მომენტს გამოვარჩევ: პირველი 2008 წელს უკავშირდება, როდესაც ატლანტათი ფლეი ოფში გავედით. მაშინ ძალიან ახალგაზრდული გუნდი გვყავდა და ბოსტონს, რომელიც მერე ჩემპიონი გახდა, მე-7 თამაშამდე ვებრძოლეთ;

და რასაკვირველია, 2 საჩემპიონო ბეჭედი გოლდენ სტეიტთან ერთად, 2017 და 2018 წლებში. სწორედ ამ ყველაფრისთვის ღირდა იმ დიდი სამუშაოს გაწევა, რაც კალათბურთელებს უწევთ.

– უორიორსთან ერთად ყველაზე ტკბილად და მწარედ რა გახსენდებათ?

– იმ გოლდენ სტეიტს ცუდი მომენტები არ ჰქონია. ბევრ თამაშს ვიგებდით... შესაძლოა, გარედან ისე ჩანდა, რომ ამას ძალიან იოლად ვახერხებდით. დამიჯერეთ, ასე არ ყოფილა. ალბათ, ყველაზე ცუდი პერიოდი ლიდერების ტრავმიანობას უკავშირდებოდა. საუკეთესო დღეები – ჩემპიონობას.

– ვინ მიგაჩნიათ საუკეთესო კალათბურთელად მათგან, ვისთან ერთადაც გითამაშიათ?

– იმდენი წელი ვითამაშე და ბევრ საოცარ კალათბურთელთან მითამაშია. ორლანდოში ჩემი პარტნიორები ტრეისი მაკგრეიდი და გრანტ ჰილი იყვნენ, შემდეგ მილუოკიში ტონი კუკოჩი მყავდა, ატლანტაში – ჯო ჯონსონი და ალ ჰორფორდი. დალასში დირკ ნოვიცკი და „დიდი სამეული“ გოლდენ სტეიტში. ასევე ბლეიკ გრიფინი – დეტროიტში. მათგან ვინმეს გამოყოფა გამიჭირდება. უბრალოდ, ბედნიერი ვარ, რომ ასეთი მაგარი ბიჭების მხარდამხარ ვთამაშობდი.

– 2 ჩემპიონობიდან რომელი უფრო რთული იყო?

– მე-2. იმიტომ, რომ როდესაც მოედანზე უკვე ჩემპიონის რანგში გადიხარ, ყველა განსაკუთრებული მოტივაციით გეთამაშება. ამასთან, პირველი სეზონის შემდეგ აღდგენაც ვერ მოვასწარით და გადაღლილებიც ვიყავით.

– დაცვაში ყველაზე მეტად ვის წინააღმდეგ თამაში გიჭირდათ?

– ამაზე ცხადი პასუხი მაქვს – შაკილ ონილის. თანაც, შაკის წინააღმდეგ მაშინ ვთამაშობდი, როდესაც ის ლეიკერსში საუკეთესო ფორმაში იყო, მე კი მხოლოდ 19 წლის გახლდით. ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი რთული იქნებოდა კაცის გაჩერება, რომელიც თამაშში ლამის 40 ქულას აგდებდა და ფარებს „ამტვრევდა“. მასთან თამაშის მე-2 დღესვე სპორტულ დარბაზში წავედი. მაშინ მივხვდი, თუ ნბა-ში დარჩენა მსურდა, კუნთების მასა უნდა მომემატებინა. იაო მინიც რთული მეტოქე იყო, სიმაღლესთან ერთად საშუალო სროლაც ძლიერი ჰქონდა.

– როდესაც ნბა-ში ახალგაზრდა მიხვედით, ყველაზე მეტად რომელი მოთამაშისგან იგრძენით დახმარება?

– ასეთ დონეზე პირველ ნაბიჯები ყოველთვის რთულია და ძალიან მნიშვნელოვანია გუნდში დაგხვდეთ გამოცდილი კალათბურთელი, რომელიც დაგეხმარებათ. მე გამიმართლა, რადგანაც როგორც სადებიუტო სეზონში, ასევე მერეც გვერდში ისეთი კალათბურთელები მედგნენ, როგორებიც არიან გრანტ ჰილი, ჯუონ ჰოვარდი და ტონი კუკოჩი, რომელიც ასევე ევროპიდან იყო. მათ დიდი დახმარება გამიწიეს. ასევე ერთ-ერთი მიზეზი, რისი წყალობითაც ნბა-ს დიდხანს შემოვრჩი, ისაა, რომ საუკეთესოებისგან ბევრი რამ ვისწავლე.

– სტეფ კარისა და კევინ დურანტისგან რა ისწავლეთ? როგორები იყვნენ ისინი გასახდელში?

– ეს სახალისო ამბავია... გასახდელში ჩემ მარცხნივ სტეფი იჯდა, მარჯვნივ – კევინი. საოცარი სანახაობა იყო, მათ იმდენი სპორტული ფეხსაცმელი ჰქონდათ, ჩემს თაროებსაც ავსებდნენ. ერთი ამბავი დამამახსოვრდა: ყოველი ვარჯიშის მერე დარბაზში ორნი რჩებოდნენ და სროლაში ვარჯიშობდნენ. თავიდან ვერ მივხვდი, რატომ ვარჯიშობდნენ ერთად და არა ცალ-ცალკე. მერე მივხვდი, ისინი 50-დან 47 ან 48 ბურთს აგდებდნენ, სტეფს 50-ვეც ჩაუგდია და სწორედ ეს შეჯიბრი იყო მათთვის მოტივაციის მიმცემი. ერთმანეთის დაჯაბნას ცდილობდნენ და ამით კიდევ უფრო უკეთესები ხდებოდნენ. ამ ამბავმა მეც ბევრი რამ მასწავლა.

– თქვენი ყველაზე მხიარული თანაგუნდელი ვინ იყო?

– დირკ ნოვიცკი და ჯეი ჯეი ბარეა. დირკს იუმორის ჩინებული გრძნობა ჰქონდა და შეეძლო, გასახდელში ჩინებული განწყობა შემოეტანა. გუნდში ასეთი კალათბურთელის ყოლა ძალიან მნიშვნელოვანია. ნოვიცკის დღემდე ვეკონტაქტები, ის ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარია.

– ხომ არ გიფიქრიათ, რომ სანამ კარიერას დაასრულებდით, ევროპაში ან სადმე სხვაგან გეთამაშათ?

– როდესაც ნბა-ში დავიწყე, მარტო ვცხოვრობდი, ახლა მეუღლე და 4 შვილი მყავს, რომლებიც ამერიკაში გაიზარდნენ. მათთვის გარემოს შეცვლა ძალიან რთული იქნებოდა და ამ ვარიანტზე არც მიფიქრია. თუმცა, გეტყვით, რომ ევროპული კლუბებიდან დაინტერესება ნამდვილად იყო. ეს ჩემი ოჯახის წევრების მიმართ არასწორი საქციელი იქნებოდა, სადმე მარტო წასვლა კი არც განიხილებოდა.

– ნბა-ს მიმდინარე სეზონში ვის დაასახელებდით მვპ-იდ და საუკეთესო ახალბედად?

– არჩევანის გაკეთება ძალიან რთულია. გულგრილი ვერ ვიქნები სტეფის მიმართ. ყოველთვის, როდესაც მგონია, რომ ის უკვე პიკზეა, ახალ რაღაცებს იგონებს. ამ სეზონშიც შთამბეჭდავად თამაშობს. გვერდს ვერ ავუვლი ნიკოლა იოკიჩსა და ლუკა დონჩიჩს. მიხარია, რომ ევროპელი კალათბურთელები ასეთ დონეზე არიან. ჰარდენი, კეიდი და ლებრონი ძველებურად ბრწყინავენ, მაგრამ ტრავმებმაც ხელი შეუშალეს. კიდევ ერთი კალათბურთელი, რომელსაც გამოვარჩევ, ჯოელ ემბიდია. ახალბედასთან დაკავშირებით, თითქოს, უფრო ნათელი ვითარება გვაქვს. ცუდია, რომ დაშავდა ჯეიმს ვაისმანი, რომელიც ძალიან კარგ ფორმაში იყო. ახლა, ლამელო ბოლსა და ენტონი ედვარდსს შორის უნდა ავარჩიოთ. პირადად, ედვარდსისკენ ვიხრები, რომელიც შედარებით სუსტ გუნდშია, მაგრამ კარგი სტატისტიკა აქვს.

– თავი მწვრთნელის რანგში თუ წარმოგიდგენიათ?

– მართალი გითხრათ, ამაზე არ ვფიქრობ, რადგანაც უორიორსის მენეჯმენტში საკუთარი როლით კმაყოფილი ვარ. ეს საქმე მეტად მაინტერესებს. უკვე 2 წელია, ვაკეთებ და იმედი მაქვს, ასევე გაგრძელდება.

– თქვენი ბავშვობის კერპი ვინ იყო?

– მაიკლ ჯორდანი არა მხოლოდ ჩემი, არამედ მთელი მსოფლიოს კერპი იყო. საქართველოში ნბა-ს ძალიან მცირე დრო ეთმობოდა, მაგრამ რასაც ვუყურებდით, თითქმის ყველაფერი მასზე იყო. მოგვიანებით, როდესაც ნბა-ს შესახებ გაცილებით მეტი გავიგე, უფრო მეტი ყურადღება ტიმ დანკანს მივაქციე, რომელიც მოედანსა და მის მიღმაც გამარჯვებული იყო. ძალიან მომწონდა.

– რა რჩევას მისცემდით ბავშვებს, რომლებიც კალათბურთით არიან დაკავებულნი?

– ეს ჩემი საყვარელი კითხვაა. მსოფლიო სპორტში უდიდესი კონკურენციაა და წარმატების მიღწევა ძალიან რთულია, მაგრამ ის ფაქტი, რომ ბავშვი სპორტით არის დაკავებული, ძალიან ბევრის მომცემია. ამ პერიოდში მოზარდი ეჩვევა დისციპლინას, ლიდერობას, იჩენს ახალ მეგობრებს. თანამედროვე პერიოდში ბავშვები დიდ დროს უთმობენ კომპიუტერულ თამაშებს, ამის გათვალისწინებით, ცხოვრების ჯანმრთელი წესი მნიშვნელოვანია. წარმატება მალე არ მოდის, თუმცა, ჩვენ გვაქვს მესისა და კარის მაგალითებიც. ყველა ბავშვს ვურჩევდი, შრომა და განვითარება განაგრძონ.

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მაღლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

შედეგები

22 მაისი

ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონშიპი

ფლეი ოფი

ბრენტფორდი-ბორნმუთი	3:1
სუონსი-ბარნსლი	1:1

გერმანია. ბუნდესლიგა

აინტრახტი-ფრაიბურგი	3:1
ბაიერნი-აუგსბურგი	5:2
დორტმუნდი-ლევერკუზენი	3:1
ვერდერი-გლადბახი	2:4
ვოლფსბურგი-მაინცი	2:3
კიოლნი-შალკე	1:0
უნიონი-ლაიფციგი	2:1
ჰოფენჰაიმი-ჰერტა	2:1
შტუტგარტი-არმინია	0:2(0:0)

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	34	24	6	4	99-44	78
2.ლაიფციგი	34	19	8	7	60-32	65
3.დორტმუნდი	34	20	4	10	75-46	64
4.ვოლფსბურგი	34	17	10	7	61-37	61
5.აინტრახტი	34	16	12	6	69-53	60
6.ლევერკუზენი	34	14	10	10	53-39	52
7.უნიონი	34	12	14	8	50-43	50
8.გლადბახი	34	13	10	11	64-56	49
9.შტუტგარტი	34	12	9	13	56-55	45
10.ფრაიბურგი	34	12	9	13	52-52	45
11.ჰოფენჰაიმი	34	11	10	13	52-54	43
12.მაინცი	34	10	9	15	39-56	39
13.აუგსბურგი	34	10	6	18	36-54	36
14.ჰერტა	34	8	11	15	41-52	35
15.არმინია	34	9	8	17	26-52	35
16.კიოლნი	34	8	9	17	34-60	33
17.ვერდერი	34	7	10	17	36-57	31
18.შალკე	34	3	7	24	25-86	16

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ვალიადოლიდი-ატლეტიკო	1:2
ოსასუნა-სოსიედადი	0:1
რეალი-ვილიარეალი	2:1
სელტა-ბეტისი	2:3
უესკა-ვალენსია	0:0
ეიბარი-ბარსელონა	0:1
ელჩე-ბილბაო	2:0

სატურნირო ცხრილი:

1.ატლეტიკო	38	26	8	4	67-25	86
2.რეალი	38	25	9	4	67-28	84
3.ბარსელონა	38	24	7	7	85-38	79
4.სევილია	37	23	5	9	52-33	74
5.სოსიედადი	38	17	11	10	59-38	62
6.ბეტისი	38	17	10	11	50-50	61
7.ვილიარეალი	38	15	13	10	60-44	58
8.სელტა	38	14	11	13	55-57	53
9.ბილბაო	38	11	13	14	46-42	46
10.გრანადა	37	13	6	18	47-65	45
11.ოსასუნა	38	11	11	16	37-48	44
12.კადისი	38	11	11	16	36-58	44
13.ვალენსია	38	10	13	15	50-53	43
14.ლევანტე	38	9	14	15	46-57	41
15.ალავესი	37	9	11	17	36-56	38
16.ხეტაფე	37	9	10	18	28-43	37
17.ელჩე	38	8	12	18	34-55	36
18.უესკა	38	7	13	18	34-53	34
19.ვალიადოლიდი	38	5	16	17	34-57	31
20.ეიბარი	38	6	12	20	29-52	30

იტალია. სერია ა

კალიარი-ჯენოა	0:1
კროტონი-ფიორენტინა	0:0
სამპდორია-პარმა	3:0

სატურნირო ცხრილი:

1.ინტერი	37	27	7	3	84-34	88
2.ატალანტა	37	23	9	5	90-45	78
3.მილანი	37	23	7	7	72-41	76
4.ნაპოლი	37	24	4	9	85-40	76
5.იუვენტუსი	37	22	9	6	73-37	75
6.ლაციო	37	21	5	11	61-53	68
7.რომა	37	18	7	12	66-56	61
8.სასუოლო	37	16	11	10	62-56	59
9.სამპდორია	38	15	7	16	52-54	52
10.ვერონა	37	11	11	15	45-47	44
11.ჯენოა	38	10	12	16	47-58	42
12.ბოლონია	37	10	11	16	50-61	41
13.ფიორენტინა	38	9	13	16	47-59	40
14.უდინეზე	37	10	10	17	41-53	40
15.სპეცია	37	9	11	17	50-70	38
16.კალიარი	38	9	10	19	43-59	37
17.ტორინო	37	7	15	15	49-68	36
18.ბენევენტო	37	7	11	19	39-74	32
19.კროტონე	38	6	5	27	45-92	23
20.პარმა	38	3	11	24	39-83	20

საფრანგეთი. ლიგა 2

ნიორი-ვილეფრანში	2:0

ავსტრია. ბუნდესლიგა

ვოლფსბერგერი-შტურმი	1:3
რაპიდი-ლინცერი	3:0
ზალცბურგი-ტიროლი	4:0

მოტლანდია. თასი

ფინალი

სტ.ჯონსტონი-ჰიბერნიანი	1:0

ბელგია. ა დივიზიონი

მეხელენი-გენტი	1:2
სტანდარსი-ოსტენდე	1:3

საბერძნეთი. თასი

ფინალი

ოლიმპიაკოსი-პაოკი	1:2

შვედეთი ალსვენსკა

აიკ-მიალბი	2:2
ოსტერსუნდი-სირიუსი	3:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. პატარა გემი; 2. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 3. „ჯენერალ მოტორსის“ ფირმის მსუბუქი ავტომობილი; 4. მთავრობის წევრი; 8. ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 9. ბუდისტთა წმინდა წიგნი; 11. ტაძარი ქუთაისში; 12. უალკოჰოლო მატონიზირებელი სასმელი; 14. სამკურნალო მცენარე; 16. უბანი თბილისში; 17. გემის ხელსაწყოების პერსონაჟი; 19. მტკიცე ლითონი, რკინისა და ნახშირბადის ნაერთი; 21. სახელმწიფოს ერთ-ერთი სიმბოლო.

თარაზულად: 5. ზღვის დიდი ათფეხა კიბორჩხალა, ძვირფასი საკვები პროდუქტი; 6. ღვინის წარმოების ცენტრი სამხრეთ საფრანგეთში; 7. ნაოსნობისთვის გამოსადეგი წყლის სივრცე; 10. გულდა კალაძის ქანდაკება ბიჭვინთაში; 13. კათოლიკური მამათა მონასტერი; 15. გულში ნადები ბოლმა; 18. ქიმიური ელემენტი, აირი; 20. უნივერსიტეტი მადრიდში; 22. ფარისევლური ქცევის, მეშჩანი, ობივატელი ადამიანი; 23. სამონასტრო კომპლექსი კახეთში; 24. საბრძოლო ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ქედანი; 2. ფოთი; 3. ფასანაური; 4. ქართუ; 5. ბერმუხა; 8. ლოტოსი; 9. დეკლამაცია; 12. შანელი; 14. ოქსინო; 16. აიეტი.

თარაზულად: 1. ქლოროფილი; 6. გაბრიაძე; 7. დვალეთი; 9. დიბალა; 10. კურუ; 11. მოზაიკა; 13. ფლორა; 15. ფატიმა; 17. დიონისე; 18. ხეტაფე; 19. დისნეი; 20. თიბათვე.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. შატილი; 2. პიანიჩი; 3. კელასური; 4. კრწანისი; 8. კალმასობა; 9. ბრილიანტი; 11. მურმანი; 12. დოღი; 14. ანსა; 16. ზაქათალა; 17. ვარიანტი; 19. ნარიტა; 21. კუკნა.

თარაზულად: 5. სერვანტი; 6. დაიმლერი; 7. უფლისციხე; 10. სუნამო; 13. ონიქსი; 15. ილუმენი; 18. შამონი; 20. სატირა; 22. მირანგულა; 23. ბლანშეტი; 24. ანდეზიტი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

24 მაისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.3056

ევრო — 4.0414

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.7019

100 რუსული რუბლი — 4.5017

ამინდის პროგნოზი 24 მაისისათვის

ლუის სუარესი: „ბარსელონამ სათანადოდ არ დამაფასა“

მადრიდის ატლეტიკო ესპანეთის ჩემპიონი გახდა და ამაში ლომის წილი ლუის სუარესს მიუძღვის, რომელმაც ბოლო შეხვედრებში რამდენიმე მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა.

ბოლო მატჩშიც ვალიადოლიდთან ლუისმა შეძლო თავის გამოჩენა, რომლის გოლმაც ატლეტიკოს ოქროს მედლები მოუტანა.

სუარესმა ბარსელონაზეც ისაუბრა და თქვა, რომ ის სათანადოდ არ დააფასეს:

– ბარსელონაში მითხრეს, რომ უმაღლეს დონეზე თამაში აღარ შემეძლო და ამან ძალიან გამაღიზიანა. ატლეტიკომ კარი გამიღო და ყოველთვის მისი მადლობელი ვიქნები.



გრიზმანმა შესაძლოა ბარსელონა დატოვოს

ანტუან გრიზმანი დიდი ალბათობით ბარსელონას დატოვებს, რადგან თუ კატალონიელებს მემფის დეპაი და სერხიო აგუერო შეუერთდებიან, მაშინ გრიზმანისთვის უკვე ადგილი აღარ იქნება, მიუხედავად იმისა, რომ მან წლევანდელ სეზონში 13 გოლი გაიტანა.

ესპანურ მედიაში ვრცელდება ინფორმაცია, რომ გრიზმანი შესაძლოა ატლეტიკოში დაბრუნდეს, თუმცა ამ ინფორმაციას თვითონ ატლეტიკო არ ადასტურებს.

მანჩესტერ იუნაიტედს რონალდუს ყიდვა სურს

მანჩესტერ იუნაიტედს კრიშტიანო რონალდუს ყიდვა სურს და ის მზად არის, პორტუგალიელს წელიწადში 20 მილიონი გადაუხადოს, რაც 11 მილიონით ნაკლებია რონალდუს იუვენტუსში ანაზღაურებაზე.

იუვენტუსმა წელს ძალიან ცუდად იასპარეზა და რონალდუ სერიოზულად ფიქრობს გუნდის დატოვებაზე. მანჩესტერ იუნაიტედში რონალდუმ 6 სეზონი გაატარა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ნიუ-იორკში კოვიდ-19-ის აცრაზე ხუთ მილიონ დოლარს გაათამაშებენ

ამერიკის ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორმა ენდრიუ კუომომ მოსახლეობას კოვიდ-19 საწინააღმდეგო ვაქცინაციის გავლისკენ მოუწოდა, რა დროსაც მათ გადაეცემათ უფასო ლატარიის ბილეთი, რომელიც მათ ხუთი მილიონი დოლარის გათამაშებაში მონაწილეობის უფლებას მისცემთ.

კუომომ განაცხადა, რომ ლატარია არის ვაქცინაციისთვის „ახალი მნიშვნელოვანი მიზეზი“. მსგავსი ფულადი პრიზის გათამაშებაში მონაწილეობისთვის, აუცილებელია აცრის ათიდან ერთ-ერთ სახელმწიფო დაწესებულებაში გაკეთება. გარდა ამისა, აცრისთვის აუცილებლად უნდა შერჩეული იყოს ფაიზერის ან ჯონსონ და ჯონსონის ვაქცინა.

გათამაშებაში მონაწილეობის უფლება 18 წელს გადაცილებულ მოქალაქეებს ეძლევათ. ყველა მცხოვრები, რომელიც ყველა პირობას შეასრულებს, მიიღებს ნიუ-იორკის შტატის ლატარიის უფასო ბილეთს. გარდა ამისა, ანალოგიური ბილეთის შეძენა 20 დოლარად ათამდე სხვადასხვა მაღაზიაშია შესაძლებელი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

24 მაისისათვის

ვერძი – სასიცოცხლო პოტენციალი საკმაოდ ძლიერია. ჩანაფიქრის რეალიზებას უპრობლემოდ მოახერხებთ. **კურო** – დღის დევიზია მაქსიმალური თავშეკავება. კონფლიქტის თავიდან აცილებას მხოლოდ ამგვარად მოახერხებთ. **ტყუპები** – თუ გსურთ, მიზანს მიაღწიოთ, არ იზარმაცოთ. ყველაფერი მხოლოდ თქვენს შრომისმოყვარეობაზეა დამოკიდებული. **კირჩხიბი** – დღეს უნიკალური შანსი გეძლევათ, ოცნებები აიხდინოთ. ხშირად გაიღიმეთ. **ლომი** – პირად ცხოვრებაში ცვლილებები შეინიშნება. მთავარია, სადმე შეცდომა არ დაუშვათ. **ქალწული** – ნუ იქნებით კატეგორიული. მეტი თავშეკავება, სირბილე და დათმობის უნარი გჭირდებათ. **სასწორი** – მეგობრები დაუფიქრებლად დაგეხმარებიან. იყავით გახსნილი, მშვიდი, ერიდეთ კამათში ჩართვას. **ღრიანკალი** – დღეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება მოგიწევთ. დაუფიქრებელ ნაბიჯს ნუ გადადგამთ. ეცადეთ, სულიერი წონასწორობა შეინარჩუნოთ. **მშვილდოსანი** – ფინანსებს გაუფრთხილდით. პირად ცხოვრებაში დაძაბულობა იჩენს თავს. გარშემომყოფებს მეტი სითბო აჩუქეთ. **თხის რქა** – ელოდეთ სასიამოვნო სიურპრიზს. შესაფერისი დღეა პირად ცხოვრებაში ცვლილებების შესატანად. **მერწყული** – ჰარმონიული დღეა. წვრილმან უსიამოვნებებს ყურადღებას ნუ დაუთმობთ. **თევზები** – მშვიდად იმუშავეთ. სხვის საქმეში ნუ ჩაერევით. თქვენი რჩევები დღეს არავის სჭირდება.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ქორწილის შემდგომი პირველი ღამეა. პატარძლის მშობლები მეორე ოთახიდან გამოსულმა ხმამ გამოაღვიძა:

– დედა! დედა!

დედამ ადგომა დააპირა, მაგრამ ქმარმა გააჩერა და ეუბნება:

– დაიძინე, თავად გაერკვევიან.

გარკვეული დროის შემდეგ ისევ ისმის:

– დედა! დედა!

დედა წამოხტება ლოგინიდან და კარისკენ მიდის. ბოლო მომენტში ქმარი წამოეწევა, გააჩერებს და ეუბნება:

– ხომ გითხარი, თავად გაერკვევიან! ჩვენი ამბავი გაიხსენე.

და ამ დროს ისევ გაისმის:

– დე-დაა! დე-დაა!

დედამ მეუღლეს ხელი ჰკრა, ოთახში შევარდა და დაიყვირა:

– რა, შვილო, ძვირფასო, რა მოხდა?!

– დედა, რა კარგიაა...

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– იცი, ახლახან წავიკითხე, რომ ქალები არიან ან ჭკვიანები, ან ლამაზები.

– მერე?

– აი, შენ, როგორი ცოლი გყავს?

– რა გიპასუხოთ... ქალი სულელი რომ იყოს, აუცილებელი არაა იყოს ლამაზი...

●●●

პოლიციაში მისულმა ქალმა განაცხადა, რომ უკვე 4 დღეა ქმარი დაეკარგა. პოლიციელი ეუბნება:

– განცხადება დაწერეთ.

ქალმა დაწერა, მისი წაკითხვის შემდეგ პოლიციელი ეკითხება:

– თუ ვიპოვით, რა გადავცეთ?

– გადაეცით, რომ დედაჩემი აღარ ჩამოდის.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

თამთა გოდუაძემ რუსა მორჩილაძის „იები“ იმღერა



ქართველმა მომღერალმა თამთა გოდუაძემ, რომელიც საბერძნეთის ვარსკვლავია, კომპოზიტორ რუსა მორჩილაძის ერთ-ერთი ჰიტი „იები“ ახლებურად შეასრულა და ათასობით მსმენელის მოწონებაც დაიმსახურა.

„იები“ მსმენელს ნინო ქათამაძემ გააცნო თავისი სრულიად ორიგინალური და განსხვავებული შესრულებით, თამთას ვერსია კი უფრო მშვიდია.

ინტერნეტში „იების“ ახალი ვერსიის გავრცელებამ დიდი მოწონება დაიმსახურა, მსმენელმა თამთას მისამართით დადებითი კომენტარები არ დაიშურა.

გენერალი გიორგი კვინიტაძე საქართველოში ჩამოასვენეს

გენერალი გიორგი კვინიტაძე საქართველოში ჩამოასვენეს. იგი მშობლიურ ქვეყანას გარდაცვალებიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ დაუბრუნდა. აეროპორტში მას საპატიო ყარაული დახვდა.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის ჯარების მთავარსარდალს, ეროვნულ გმირს, 26 მაისს, მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალავენ.

თემურ წიკლაურის ოჯახმა სვეტიცხოვლის ეზოში ნეკერჩხალი დარგო

მცხეთაში, სვეტიცხოვლის ეკლესიის ეზოში ხეების დარგვა მიმდინარეობს. იდეის ავტორი გოჩა არონიშიძეა.

ამ ინიციატივას მომღერალ თემურ წიკლაურის ოჯახიც შეუერთდა. ლილი ზღვაურმა, ქეთი წიკლაურმა და ანდრია გოგიბედაშვილმა ტაძრის ეზოში ნეკერჩხლის ხე დარგეს.

ქეთი წიკლაური:

– დავრგეთ ნეკერჩხალი სვეტიცხოვლის ეზოში მამას სახელზე. უღრმესი მადლობა პროექტის ავტორს, ბატონ გოჩა არონიშიძეს.

დემნა გვასალიას მიერ შექმნილი ბოტასები 1250 დოლარად იყიდება

ქართველი დიზაინერი დემნა გვასალია თავისი არაორდინალური სიახლეებით მსოფლიოს გაოცებას აგრძელებს.

ბალენსიაგას კრეატიულმა დირექტორმა მოდის მოყვარულებს ახალი ბოტასები წარუდგინა, რომელიც 1250 დოლარად იყიდება.

ნინო ჩხეიძემ ახალი კლიპი გადაიღო

მომღერალმა ნინო ჩხეიძემ სიმღერაზე „კიდევ ერთხელ შეგიყვარებ“ კლიპი გადაიღო.

ვიდეორგოლის შესაქმნელად მომღერალი სასტუმრო ამბასადორს ესტუმრა და ულამაზეს ინტერიერში ულამაზესი კადრებიც აღიბეჭდა. კლიპის პრემიერა მომღერალმა საკუთარ იუთუბ არხზე გამართა, ბევრი ნახვა, დადებითი კომენტარი და მოწონება დაიმსახურა.



ზურაბ ქარუმიძეს ჯანმრთელობის პრობლემები აქვს

მწერალ ზურაბ ქარუმიძეს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს. ის გერმანიაში იმყოფება და მკურნალობის კურსს გადის.

ინფორმაცია პოეტმა შოთა იათაშვილმა გაავრცელა:

– ზურაბ ქარუმიძეს რომ შევეხმიანე და როგორ ხარ-მეთქი, მოვიკითხე, პასუხად თავისი ახალი ტექსტი გამომიგზავნა. ეს თითქმის დაუჯერებელი რამ იყო: ადამიანმა საკუთარ მძიმე მდგომარეობას ასეთი თვითირონიით შეხედოს, ასეთი იუმორით და სილაღით – ეს ალბათ ძალიან ცოტას შეუძლია. უფრო სწორად, მხოლოდ ძალიან ძლიერ ადამიანებს. ვკითხულობდი, ვკვდებოდი სიცილით და თან ძალიან მწარე იყო ეს ყველაფერი.

ზურა ახლა გერმანიაშია, მკურნალობს და თან თავისი განუმეორებელი ოსტატობით აგრძელებს ადამიანური ბუნების შესწავლას და კულტურულ შრეებში მის გატარებას, ის ძველებური მხიარულებით ახალ, ფერადოვან და ამავე დროს სასტიკ კარნავალს დგამს თანამედროვე ქართული და არა მარტო ქართული ლიტერატურისათვის.

ზურას ვუსურვოთ მხნეობა, რომელიც მას ისედაც აქვს, ჯანმრთელობა, თავის ახალ ბრწყინვალე ტექსტზე მუშაობის წარმატებით გაგრძელება და მალე ჩვენთან დაბრუნება.

პეტრას ციხე დამთვალიერებლებისთვის გაიხსნა

განახლებული პეტრას ციხე დამთვალიერებლებისთვის გაიხსნა. ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის მასშტაბური რეაბილიტაცია დასრულებულია.

ციხის ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები 2018-2021 წლებში მიმდინარეობდა. პროექტის ფარგლებში აშენდა ვიზიტორთა ცენტრი და 2 საექსპოზიციო ნაგებობა.

ლიმონარიუმის 4 ტერასაზე მოეწყო ადაპტირებული სასეირნო ბილიკები და 6 ადაპტირებული ლიფტი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის. ვიზიტორთათვის გაკეთდა ავტოპარკინგი და ავტობუსების სადგომი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯვოსვოხდი ა



შვეულად: 1. პოეტ ნიკო რაზიკაშვილის ლიტერატურული ფსევდონიმი; 2. მდინარე კახეთში; 3. ცრუ დაპირებები, მასებზე გავლენის მოხდენის მცდელობა; 4. სოფლის მოხელე, მამასახლისის ხელქვეითი ძველად; 5. უკრაინული ფარმაცევტული ფირმა; 8. ლიხტენშტეინის დედაქალაქი; 9. მასმედიის ერთ-ერთი სფერო; 12. დეკორატიული ჯიშის ოთახის ძაღლი; 14. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 16. მოხარშული ზეთი საღებავებისა და ლაქების დასამზადებლად.

თარაზულად: 1. სამხედრო-საზღვაო ფლოტში გემის სურსათითა და საყოფაცხოვრებო ნივთებით მომმარაგებელი პირი; 6. დედამიწის ფორმებისა და ზომების შემსწავლელი მეცნიერება; 7. გურიასა და აჭარაში გავრცელებული ვარდისფერყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 9. გემის ტვირთამწეობა; 10. ერთგულების მტკიცე პირობა; 11. რომან „კუკარაჩას“ პერსონაჟი; 13. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ჩიკაგოს აეროპორტი; 15. პოპულარული ქართული სიმღერა; 17. მარგალიტის ყელსაბამის ძველი ქართული სახელწოდება; 18. ამერიკული სიგარეტი; 19. ფულადი ჯილდო; 20. რომის, ვისკის, არყის მწარმოებელი ამერიკული ფირმა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა